სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა ... სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, ... пр. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 139 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 139

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა თიბათვის 27 შამა ანტონის მარტყოფელის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოზ პატრიარქი სრულიად საქართველოისა

## კ ი რ ი ო ნ II

მისი უწმინდესობის ნეშთი დასვენებულია ანჩისხატის ტაძარში, რომლის კარი დღე და ღამ ღიაა. ყოველ დღე დილის 8 საათზე არქიელის წირვაა. პანაშვიდები აგრეთვე ყოველ დღე შუადღის 12 საათ. და საღ. 7 საათზე. დაკრძალვა კვირას 7 მკათათვეს სიონის ტაძარში.

საქართველოს დემ. რესპუბლიკის რკ. გზათა მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დუშეთის მაზრაში რევოლიუციონური მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა კომიტეტის წევრი ამხანაგი

## ალექსანდრე რიკაძე

მიცვალებულის ცხედარი განზრახულია გადმოასვენონ თფილისში, რაც თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (2—2)

ულრმესის მწუხარებით გულ მოკლულნი: მეუღლე ელენე (ევსევია) ნაკაიძისა, დედა ქრისტინე ბერიძის ასული ნაკაიძისა, ძმა ვლადიმერ ნაკაიძე, დები: ათინო ხომერიკისა ლიუდი ურუშაძისა, პატკე (ნინა) ბოლქვაძისა, რძალი ნინო ნაკაიძისა შვილებითურთ, სიძეები: ლავრენტი ხომერიკი, სოლომონ ბოლქვაძე და ხარიტონ ურუშაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

## სერგო გიორგის ძე ნაკაიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც დღიდან ომის გამოცხადებისა მსახურებდა ქართველთ ცხენოსან პოლკში. გასული წლის 8 მარტს ოსმალების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის შემდეგ სხვებთან ერთათ გვეგონა, რომ ტყვეთ იქმნა წაყვანილი, მაგრამ დაბრუნებულ მისი ამხანაგების სიტყვით ის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მსხვერპლათ დაცემულა. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 7 ივლისს ქალ. ქაშუეთის ეკლესიაზე. (2—1)

გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას თან მოუყვა აგრეთვე

## სამეურნეო განყოფილება

რომლის ბიურო მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 18-ში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღეებს გარდა) დილის 11—12 ნახ. საათამდე. (4—1)

## ფინანსთა სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ მისგან დანიშნულია

## კ ო ნ კ უ რ ს ი

ას მანეთიანი ბილეთის ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია ნაშუადღევის 2 საათამდის. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

კანცელარიის დირექტორის მაგივრად გ. ღლონტი.

## საჯარო ვაჭრობა

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს 6 ივლის დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობის თანდასწრებით

## საჯარო ვაჭრობით

იჯარით გაიცემა ქალაქის ყაფაზებიდან გადასახადის შემოსავალი. ყაფაზები იმყოფება: 1) მალაკნების მოედანზე, 2) სალდათთა ბაზარში—სომხეთა სემინარიის ეზოში, 3) კახეთის ქოედანზე ნუნუფაროვის სახლის ეზოში.

პირობებისა და ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო საადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში. (3—3)

მოითხოვეთ სამკურნალო

## ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი". (15—5)

## თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

## კ უ რ ს ე ბ ი

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ხელოვნური, მაღალი ხარისხის

## ყ ი ნ უ ლ ი

იყიდება ნაჭრობით და ბითუმათ საწყობ „გაზოლიოდში"

მუხრანის ქუჩა, ყოფილი მუხრანსკის სახლი № 23. ტელეფონი № 200.

## მიწის საკითხი და ანარქია

ანარქიის ნიშნებმა აქა-იქ ჩვენი ქვეყნის განათლებულ კუთხეებშიაც იჩინა თავი. ამაღელვებელი ამბები მოდის ქართლის სოფლებიდან: არ ინდობენ მცირე წლოვანებს და ღრმა მოხუც დედაკაცებსაც კი. თავზარდაცემული თავადები უპატრონოთ სტოვებენ სახლ-კარს და სარჩო-საბადებელს და სოფლებიდან ქალაქს აწყდებიან. ბევრს მოუმკელი რჩება პური და მთელი წლის მოსავალი ეკარგება.

მეტად დამაფიქრებელია გლეხკაცობის საქციელი. თუ დიდხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა, ჩვენი ქვეყანა აოხრებას ვერ ასცდება, როგორც ვერ ასცდა დაქცევას თვით დიდი რუსეთი.

ეჭვი არ არის, მთავრობა თავს იდებს ანარქიასთან ბრძოლას, რისთვისაც ის სხვათა შორის ისარგებლებს ახალ კანონით სიკვდილით დასჯის შესახებ. დამნაშავეებმა უნდა იგრძნონ რომ საქართველოს რესპუბლიკა ერთნაირათ უზრუნველჰყოფს ყოველ მოქალაქის პიროვნებას და ამიტომ შეუბრალებლად იქნება დასჯილი ყოველგვარი მტაცებელი და კაცის მკვლელი.

მაგრამ, როგორც გამოცდილებითაც ვიცით, ანარქიის ჩასაქრობათ საკმაო არ არის ცარიელი რეპრესიები. საჭიროა მოისპოს თვით ანარქიის გამომწვევი მიზეზებიც.

უნდა ვთქვათ, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტმა და სეიმის კანონმა მიწების ჩამორთმევის შესახებ მეტად კარგი გავლენა იქონია ხალხის დამშვიდების საქმეში. გლეხკაცობა ნდობით გაიმსჭვალა ახალ მთავრობის მიმართ და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა.

სამაგიეროთ, საკმაო გახდა რამდენიმე უტაქტო და წინდაუხედავ თავადს შეუამდგომლობა აღეძრა უცხოელების წინაშე მამულების დაბრუნების შესახებ, რომ გლეხკაცობის სულიერი მყუდროება დარღვეულიყო და ექსცესებს კვლავ ეჩინა თავი.

ჩვენ გვწამს ჩვენი ხალხის უმრავლესობის კეთილგონიერება, მაგრამ ამ გარდამავალ ხანაში, როცა ძველი უფლებრივი შეხედულებანი და მთავრობის აპარატი დანგრეულია, ხოლო ახალი შენების პროცესშია და ბუნებრივ რყევას განიცდის, დიდ გავლენას პოულობენ ურჩი და საზოგადოებრივობის დამარღვეველი ელემენტები. ამიტომ ვილაშქრებდით ჩვენ თავად-აზნაურობის იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც თავისი წინდაუხედავი მოქმედებით აღელვებას ხელს უწყობენ და მთელს წოდებას საფრთხეში აგდებენ. საუბედუროდ, არც ჩვენში მომქმედმა მემარჯვენე პარტიებმა გამოიჩინეს საჭირო გამჭრიახობა და ტაქტი და ჩვენი მოქმედება ისე ახსნეს, როგორც ჩვენი სიძულვილი და შურისძიების სურვილი გარდამავალ წოდებისადმი. ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ არავის არ ძალუძს ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალება და ყოფილ თავად-აზნაურობამაც უნდა გამოეთხოვოს ძველი ბატონობის დაბრუნებაზე ფიქრს, მან უნდა შეიგნოს, რომ განახლებულ ცხოვრებას არ შეეფერება ბატონყმური ნაშთების არსებობა და გულწრფელათ მიენდოს დემოკრატიას, რომელიც არ არის დაინტერესებული თავად-აზნაურობის წარმომადგენლების მოსპოს, როგორც მოქალაქეები.

ნათქვამიდან გამომდინარეებს შემდეგი მოვალეობა ეროვნულ საბჭოსათვის, რომელსაც ყველამ უნდა დაუჭიროს მხარი: გლეხკაცობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას მიწით. მართალია, გლეხს დღეს ფაქტიურათ ხელში უჭირავს მიწა, მაგრამ ის არ არის დარწმუნებული, რომ მოდავე არავინ გამოუჩნდება მას. ამიტომ საჩქაროთ უნდა გადაიჭრას საკითხი მიწის მფლობელობის ფორმის შესახებ.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა საქართველოს ყველა მოქალაქე გამსჭვალოს ერთი სურვილით—მოისპოს ხელოვნურათ აჯანყების მოწყობა ამა თუ იმ კუთხეში. დღეს არავისთვის საეჭვო არ არის, რომ ამ ნაძირალებთან ერთად, რომელნიც ბოლშევიკების სახელს ატარებენ, ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებენ ბრწყინვალე წოდების ზოგი წარმომადგენლები და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არეულობას ახდენენ. უნდა იცოდენ ამ თავზე ხელაღებულმა ადამიანებმა, რომ მთელს საქართველოსთან ერთად ისინი განსაცდელში აგდებენ თვით იმ წოდებას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. და დღეს დათვურ სამსახურს უწევენ.

ერთი სიტყვით, საჭიროა ანარქიის წინააღმდეგ რესპუბლიკის ყველა ძალების ამუშავება, მაგრამ ეს არ კმარა: საჭიროა მიწის საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა და გლეხ-კაცობის უზრუნველყოფა მიწით. ყველა მოქალაქემ უნდა შეუწყოს ხელი ამ საქმეში მთავრობას და ეროვნულ საბჭოს. დაყოვნება შეუძლებელია.

## პ რ ე ს ა

სოციალდემოკრატია ჩვენში აუარესელ სამუშაოს აწარმოებს, მთელ სახელმწიფოს უდგია სათავეში, და მაშასადამე მის შესახებ ბევრ რამის წერა შეიძლება ბევრის მოწონება და დაწუნება.

ოპოზიციას აქ დიდი ნიადაგი ეძლევა თავის ოპოზიციური შემოქმედება გამოიჩინოს და შეცდომების აღნიშვნით და სწორი გზის ჩვენებით, თავის პოლიტიკური სარისტიანობა დაამტკიცოს.

ეროვნულ-დემოკრატები, როგორც ვიცით ოპოზიციაში დგანან და მუდამ გაიძახიან: ჩვენ რომ ვიყოთ სახელმწიფოს სათავეში, უეჭველათ კარგათ წავიყვანთ საქმესო.

სოციალდემოკრატებს მათმა პოლიტიკურმა სიბრძნემ გამოუძებნა დიდი ნაკლი. გაზეთებზე წარწერა აქვს ისევ ძველი რუსეთის ს. დ. მ. პ. და სხვა. არა ერთხელ აღვუნუსხავთ ამ მეწვრიმალე კრიტიკოსებს, რომ სახელს ცვლის ყრილობა და არავინ სხვა, მაშასადამე ყრილობამდე რჩება ძველი სახელი თქო. მარა მას აქეთ მაინც რა ბრალდების წამოყენებაც დასჭირდებათ ჩვენს წინააღმდეგ. მაშინვე ამ „სახელწოდებას" ჩააფრინდებიან. ესაა მათი მთელი სახელმწიფოებრივი ბულა-დიდება.

ლაქიობას გვწამებენ უსაფუძვლოთო, გვესაყვედურებენ და ვერ აჩნევენ, რომ სწორეთ ამ წერილით: „ჩვენ და თქვენ" „საქართველოს" № 130, ამტკიცებენ იმას, რის უარყოფაც სურთ.

„თქვენ რუსოფილები ხართ და ემხრობით რუსეთის და სხვა ერის მეამბოხეთ, რომელნიც საქართველოს ებრძვიან",—და ეს ბრალდება გამოყავს ჩვენი გაზეთის წარწერიდან. ხოლო რომ ჩვენ ვებრძვით ამ აჯანყებულებს, რომ მათ წინააღმდეგ ვიღებთ სასტიკ ზომებს—ეს დავიწყებიათ. აი ასეთ დანოსობას ეწოდება ლაქიური დანოსი. „ქუჩრუტანიდან დავინახე თქვენი ღალატებულება, რომ მოღალატენი არიან", ასეთია ლაქიური სიტყვები და ასეთ სიტყვებს ვერ გასცილდებიან.

მარა ისინი სხვა ფაქტებს გვთხოვენ, რუსეთს როდის ველაქუცებოდითო. აბა მიიხედმოიხედეთ თქვენს წრეებში და დათვალეთ, რამდენს წარუდგენია უქვეშევრდომილესი ადრესი, მოწიწებით და მუხლ მოდრეკილი თხოვნა, რამდენს მიუღია ჩინ ორდენები ერთგულებისათვის რუსეთის თვითმპყრობელისა, როცა ჩვენ ციხესა და კატორღას ვიღებდით მარა ლაქიის წესია ხელი კრას ძველ ბატონს და ათრიოს იგი. თუ კი ახალი ბატონი გაიჩინა.

მარა ხვალ კიდევ სხვა ბატონი რომ მოვიდეს, დღევანდელ საქებურსაც ასეთივე უდიერი სიტყვებით მოიხსენებს.

დემოკრატიას ასეთი პირმოთნეობა არ სჩვევია. მას შეუძლია მტკიცე სიტყვა დასდვას და იგი აასრულოს კიდეც. იგი არც გუშინდელ ბატონს გასცრის „ლაქიური" ენატანიობით, არც დღევანდელ მეგობარს უმტყუნებს მეგობრობაში.

განა არ შეიძლება მეგობრობა ისე, რომ სხვა არ ლანძღო?

მაგრამ „საქართველოს" წერილი არა მარტო ასეთ ლაქიობით არის საყურადღებო, არამედ იმითაც, რომ იგი დამახასიათებელია, როგორც გამომხატველი ეროვნულ-დემოკრატების დღევანდელი პოლიტიკის. წერილი გაჟღენთილია ერთ ყალბი და დანოსნებური აზრით: სოციალდემოკრატები რუსების მომხრე არიან და გერმანიის მეგობარიო.

ყველა გაიგებს, თუ რას ნიშნავს ასეთი წერილების თხზვა დღევანდელ პირობებში, საითკენ მიისწრაფის ასეთი წერილების შემთხზველი. ჩვენ კი ვიტყვით: „ლაქია მუდამ ლაქიათ დარჩება".

## ამხანაგური შენიშვნები

I

### ჯ ა რ ი.

სოციალდემოკრატიას არ შეჰფერის მუდმივ ჯარზე ზრუნვა, როგორც მუდმივ დაწესებულებაზე, მაგრამ ისეთ პირობებში, როგორშიაც დღეს ვიმყოფებით, მუდმივი, რეგულიარული ჯარის შედგენა ისეთივე აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცებისათვის და რესპუბლიკის შენარჩუნებისათვის, როგორც ჰაერი ადამიანისათვის. მთავრობის დეკლარაციაშიაც ეს ხაზგასმით იყო აღნიშნული. კიდევ მეტი. ბრძანებაც გამოვიდა, რომ 19—23 წლის ახალგაზრდები დაუყონებლივ გამოცხადებულიყვნენ ჯარში. ადგილებიც იყო დანიშნული, თუ სად მოსულიყვნენ.

ამ ბრძანებას მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა, დღე მობილიზაციისა არ იყო აღნიშნული.

მას შემდეგ გადის მთელი თვე და ეს ბრძანება ქაღალდის ფარატინათ რჩება. არ ვიცით, ვინ არის და რა არის ამის მიზეზი. ზემოაღნიშნული ორგანიული ნაკლი ბრძანებისა, ჩვენი დაუდევრობა თუ სხვა რამე.

ვიცით მხოლოდ ერთი, რომ მობილიზაცია არ სწარმოებს. ვინც ოსმალეთთან ომის დროს გამოვიდა საბრძოლველათ, დღემდიც ისინი მსახურებენ. ე. ი. მსახურებს მხოლოდ თავდადებული ნაწილი, დანარჩენები კი თავისუფალი არიან რესპუბლიკის წინაშე თვის ვალის მოხდისაგან.

მაგრამ ეს ხომ ბეგარის დადებაა საუკეთესო მოქალაქეებზე და შეღავათის ბოძება—გულგრილობისა და დაუდევრობისათვის.

ჩვენ არ ვიცით ისეთი სახელმწიფო, სადაც ასეთი შეღავათები არსებობდეს. და რათ უნდა იყოს იგი ჩვენში? იმისთვის ხომ არა, რომ უკვე გაწვეულ ჯარის-კაცთაც გული გაუტეხოს?

აუცილებლათ საჭიროა ვიცოდეთ რამ დააბრკოლა ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება, და საიდან მოევლება ამ საქმეს? დღეს ყოველ საჭიროებისთვის იძულებული ვართ სახალხო გვარდიას მივმართოთ.

ეს სახალხო გვარდიაც დაუზარებლათ უშვერს გულს ტყვიას და იღწვის ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება. მაგრამ ამით ფერხდება ქარხანა-ფაბრიკების საქმე, ჩერდება მაჯის ცემა ქალაქში და რაც უმთავრესია, რეზერვი, როგორიც უნდა იყოს სახალხო გვარდია, ხდება მთავარ მომქმედ ჯარათ, რაც ქმნის მეტად არა ნორმალურ მდგომარეობას.

სახალხო გვარდია, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნეს გამოწვეული და არა წარამარა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს თავის „სახალხო" ხასიათს.

ესეც არ იყოს სახალხო გვარდია ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვა ყველა საქმეს, სადაც შეიარაღებული ძალაა საჭირო.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მუდმივი ჯარისთვის ხელმძღვანელები არ მოგვეპოვებოდეს. ამბობენ, რაც საქართველოს აფიცრობა და გენერლობა ყავს, მილიონ ჯარს გაუძღვებაო. და ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ამოდენა აპარატისთვის თუ გამოდგება, რატომ არ შეუძლია ამავე ხალხს მცირედი, ქართული ჯარი შეკრას და მას მოუაროს? ან იქნება აქაც ერთი ჩიტის არაკი მეორდება: „დიდ ქვაბში არ ეტია, პატარაში სულ არ ყოფო". თუ ასეა, ხომ შეიძლება დიდი ქვაბები სულ გავაუქმოთ და მხოლოდ პატარები ვიხმაროთ? ამდენ აფიცრობაში, რა სულითაც უნდა იყოს იგი გაჟღენთილი, არ შეიძლება ორი ან ერთი კორპუსისთვის მაინც არ გამოიძებნოს, წრფელი, თავდადებული, პატიოსანი, საქმის მოყვარული და მცოდნე აფიცრები.

მაშ რაშია საქმე! რ.

## ქართველი ვარიაგები.

1056 წლის წინეთ რუსის ხალხს საქმეები მეტის მეტად აერია. არ იქნა წესრიგის დამყარება საკუთარის ძალით. რუსებმა საშველად მეზობელ ვარიაგებს მიმართეს—„მიწა-წყალი ჩვენი თვალუწვდენელია და მდიდარი, მაგრამ წესრიგი არა გვაქვს, მობრძანდით და იმეფეთო". ამ შინაარსის იყო რუსების თხოვნა ვარიაგებისადმი, როგორც ისტორია გადმოგვცემს. ვარიაგებმაც უარი არ უთხრეს რუსებს, გაუგზავნეს რამდენიმე თავადი და ასე, საფუძველი ჩაეყარა რუსეთის სახელმწიფოს.

ჩვენებურ ეროვნულ-დემოკრატებს თუ დავუჯერებთ, რუსეთში რომ მაშინ მდგომარეობა იყო, იმ გვარივე მდგომარეობა უნდა იყოს ჩვენშიაც ახლა.

ეროვნულ-დემოკრატებს დიდი სურვილი აქვთ მოევლინონ ჩვენს ხალხს ვარიაგების როლში!

ვარიაგები რუსებს წინადადებას არ აძლევდენ—ჩვენ მოვალთ და გიპატრონებთო. რუსის ხალხი, ალბათ, თითონ დარწმუნდა, რომ ვარიაგები შესძლებდენ იმ საქმის გაკეთებას, რისთვისაც ისინი მიიწვიეს.

ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები, ეს ქართველი ვარიაგები, აგრე არ იქცევიან. თითონ აძლევენ ხალხს წინადადებას—ჩვენ მოგვიწვიეთ, ყველაფერს გავაკეთებთო, მიუხედავათ იმისა, რომ ხალხს მათი გაკეთებული არაფერი უნახავს და არც აზრათ აქვს მათი მოწვევა.

ჭეშმარიტად რომ ახირებული ხალხია ეს ეროვნული დემოკრატები! სოციალისტებს საქმის გაკეთების, სახელმწიფოს აშენების უნარი არ აქვთ, ჩვენ შევსძლებთ ყველაფერს—მოგვიწვიეთ, მოგვანდეთ საქმეები, რაც ჩვენ გითხრათ ის გააკეთეთ და ქვეყანაც აშენდებაო!

რას წარმოადგენენ თავის თავად ეროვნული დემოკრატები?

სიტყვით ყველაფერს, საქმით არაფერს!

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ შემცდარი გამოდგა ის აზრი, თითქოს ეს პარტია ბურჟუაზიული პარტია იყოს. ეს გადაგვარებული თავად-აზნაურობის პარტია გამოდგა სინამდვილეში!

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: აბა, რომელ ბურჟუაზიულ პარტიას მოუვა ისეთი საჯაყი საქმე, როგორიც ამ დღეებში ჩვენებურ ეროვნულ-დემოკრატებს მოუვიდათ.

მესტამბეს რაღაც ორი ათასი მანეთი ვერ მისცეს ძველი ვალი და ამიტომ მათი „ცენტრალური" ორგანო „საქართველო" 2—3 დღეს არ გამოსულა!

და ეს მოსდის იმ პარტიას, რომელიც სახელმწიფოებრივ აშენებლობას კისრულობს.

საკუთარი პარტიული გაზეთი „საქართველო" რომ ვერ გამოუცია, ქვეყანას ააშენებს?..

ეს ერთი ნიმუშთაგანია ეროვნულ-დემოკრატების აქტიანობის თუ უსაქმურობის, სხვა მრავალი ათასი!

ამას ხედავს რა ჩვენი ხალხი, სამართლიანათ ამბობს: არ არიან საქმის ხალხი ეროვნულ-დემოკრატებიო!

განა ის საქმეა ყოველ წამში რომ იძახო: „მამულიშვილი" მაჩაბელი გინდ გაბაშვილი დააყენეთ სათავეში და რაც მათ გითხრან, ის აკეთეთო?!

როცა ნემეცური გაზეთის წერილს ვკითხულობდით საქართველოს ახლანდელი მდგომარეობის შესახებ, ჩვენ ვფიქრობდით—„საქართველოდან" თუ არ არის გადაბეჭდილი, უეჭველად რომელიმე ქართველი ეროვნულ-დემოკრატის დაწერილი უნდა იყოსო და გვიკვირდა, თუ როგორ „გაეპარა" გაზეთში ეს წერილი ნემეცებს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ნემცები საზოგადოთ საქმის ხალხია და ეს საქმის ხალხი რაღაც „მამულიშვილურ მთავრობაზე" ლაპარაკობდა.

გერმანელები ანგარიშს უწევენ ძალთა განწყობილებას და სწორედ ეს არ აძლევდა საბუთს გერმანელებს ასეთი წერილის მოთავსებისა.

წარმოუდგენელია, რომ გერმანიაში ვინმე გამოვიდეს და ლაპარაკი დაიწყოს „მამულიშვილურ მთავრობაზე". იქ მთავრობა მიუხედავათ იმისა, რომ კაბინეტი პასუხისმგებელი არაა რეიხსტაგის წინაშე, მაინც ასე თუ ისე ანგარიშს უწევს იმას, თუ რანაირი იქნება ძალთა განწყობილება.

ჩვენში კი მხოლოდ ლაპარაკობენ ეროვნულ დემოკრატები და, ალბათ, ფიქრობენ ბრძნულ აზრებს გამოვსთქვამთო.

## Quousque tandem!

(როდემდის!)

ადგილობრივ ნემეცურ გაზეთ „კავკაზიშე პოსტ"-ის მე 33 ნომერში შემდეგი შენიშვნაა მოთავსებული ზემომოყვანილი სათაურით: „საქართველოს

სახელმწიფოს და მისი მფარველის, გერმანიის წინააღმდეგ ბეჯითი მუშაობა სწარმოებს. თხზავენ ზედიზედ ყალბ, ახალ ახალ ამბებს, რომ ხალხში გაავრცელონ უნდობლობა და ეჭვი ან არა და, დასცენ გერმანიის მფარველობის ღირსება.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია გამოვეხმაუროთ ყველა ტყუილებს, რომლებსაც ზოგიერთი დარეკტირებულნი აგრცელებენ, მაგრამ უნდა ახსოვდეთ ამ ბატონებს, რომ მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს და ჩვენ სამუდამოთ გვაძლევენ ისინი ვიფიქროთ, რომ ეს ბოროტგანზრახული ჩმახვა მხოლოდ მათი ხელობის საქმეა".

## ჩამოუქრობელი ენა

რუსეთის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, თუ კი რევოლუცია საერთაშორისო ხასიათს მიიღებდა. ჩვენ ვამბობდით, რომ რუსეთის რევოლიუცია, ომის პროცესში საერთაშორისო პროლეტარიატის დაქსაქსულ ძალებს და მოქმედებებს გააერთიანებდა და ეს გაერთიანება იქნებოდა გარანტია ხალხის პოლიტიკური მონაპოვრების და მისი პოლიტიკური უფლებების ამაღლების, რაც ხელს შეუწყობდა საერთო თავისუფლებისკენ გზის გაკაფვას. მაგრამ რევოლიუცია რუსეთის ჩარჩოებში ვერ გასცილდა. კიდევ მეტი, რევოლიუციონური პროლეტარიატის მოძრაობა შეიცვალა რეაქციონური, ანარქისტული ელემენტების მოძრაობით და პროლეტ[illegible] მეორეში სრულიად გაიფანტება. ამის შედეგად [illegible] რევოლიუციის დამარცხება უნდა ყოფილიყო. რასაც დღეს ყველგან ნათლად ვხედავთ გარდა მცირეოდენი ფანატიკოსებისა. ჩვენი მხარეც ამ ანარქისტულ მოძრაობას ვერ ასცდა. ის ბევრ კუთხეებს მოედო, განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც დემოკრატიზმი ნაკლებათ იყო შეთვისებული. დუშეთი, ლეჩხუმი, სოხუმი და სხ. ვანდეას მოგვაგონებენ. ანარქისტულ ალში გახვეული პროვინციების წინააღმდეგ მთავრობამ უკვე ზომები მიიღო. მოსულ ცნობებით ბევრ ადგილას ბრბოები დაუმორჩილებიათ და გაუფანტავთ და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე ხანში მთავრობა შესძლებს ანარქიის ძირიანათ მოსპობას, რადგან მან კარგათ უნდა იცოდეს, რომ თუ ეს ასე არ მოხდა ჩვენ თავისუფალ რესპუბლიკას გარეშე სახელმწიფოს პროვინციათ გადაქცევა მოელის. ის, რაც დღეს შესაძლებლობის სფეროშია, ხვალ რეალურ ფაქტათ იქცევა.

დღემდე, როგორც ვიცით გერმანელები გვპირდებოდენ, რომ ჩვენ, საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდნენ. და თუ ჩვენ შევძლებთ წესრიგის დამყარება, ეს ასეც დარჩება. მაგრამ „ავკაზ შე პოსტი" ალბათ ამ უკანასკნელ ამბების გამო ცოტა არ იყოს სხვანაირად ალაპარაკდა. და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ი. სალაყაია.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

5 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

საბჭოს მდივანი კითხულობს კომისიებში გადასაცემად შემოსულ კანონპროექტებს. საბჭომ ყველა ასეთი კანონპროექტები სათანადო კომისიებს გადასცა.

საფინანსო კომისიის თავმჯდომარე რ. არსენიძე კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონ პროექტების საბოლოო რედაქციას. კანონპროექტებში კომისიას უმნიშვნელო შესწორება შეუტანია. საბჭომ დაამტკიცა ყველა შესწორებული კანონპროექტები.

განსახილველია მთავრობის თავმჯდომარის, მინისტრების, მათი ამხანაგების ჯამაგირების და საწარმომადგენლო ხარჯების კანონპროექტი. მომხსენებელია ლორთქიფანიძე.

საფინანსო და საბიუჯეტო კომისია ამ კანონპროექტის განხილვის დროს, ამბობს მომხსენებელი, ხელმძღვანელობდა იმ პრინციპებით და მოსაზრებებით, რომლითაც—ეროვნულ საბჭოს წევრთა ჯამაგირის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობდა. კანონ პროექტის ძალით მთავრობის თავმჯდომარეს და მინისტრებს მიეცემათ თვეში 1500 მ. მინისტრების ამხანაგებს 1350 მ., გარდა ამისა მთავრობის თავმჯდომარეს მიეცემა წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის 15000 მ. წელიწადში. წარმომადგენლობით ხარჯათ მიეცემა აგრეთვე გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრებს თითოს 10000 მ. წელიწადში. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ასეთივე ხარჯებისათვის 16,000 მ. ყველა ეს ფულები მიეცემათ 1 ივნისიდან მიმდინარე 1918 წ. მთავრობის თავმჯდომარის მდივანს უნდა მიეცეს 1,000 მ. თვეში, საქმეების [illegible] გამგეს 1,200 მან. და სხვა.

ეროვნულ საბჭოს კანცელარიისათვის [illegible] გადაიდოს 1 ივნისიდან 1918 წ. 194,700 მ. შემდეგის განაწილებით: მოსამსახურთა ჯამაგირისათვის 82,700 მ., საქმეთა მმართველის მეორე თანაშემწესათვის დროებით ამა წლის 1 ივნისიდან წლის ბოლომდე 7,000 მ., საკანცელარიო, სატუსაღო, სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა ამგვარი ხარჯებისათვის 10,000 მ., წარმომადგენლობისათვის 2,000 მ., სადამლოუბრი რემინგტონზე და სხვა სამუშაოზე მოსამსახურეთათვის 4,000 მ. ეს კანონპროექტი საბჭომ მიიღო.

საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე კანონპროექტი ეროვნულ საბჭოთა წევრებისათვის ხელფასის ჯამაგირების კრედიტის გახსნის შესახებ 1 ივნისიდან წლის ბოლომდე.

მორიგი საკითხია სოციალდემოკრატიული ფრაქციის განცხადება გარეშე საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ.

ს. ლომთათიძე: ამ კომისიის დაარსება გამოიწვია შემდეგმა მდგომარეობამ: ჩვენს ფრაქციაში შემოვიდა რამდენიმე განცხადება ჩვენი რესპუბლიკის გარეშე მცხოვრებ ქართველებისაგან. კონკრეტიული განცხადება შემოიტანეს ცარიცინის ქართველებმა: ისინი აცხადებენ, რომ, რადგანაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, ჩვენი სურვილია დავბრუნდეთ სამშობლოში, მაგრამ ამისთვის საშუალებას მოკლებული ვართო, ისინი თხოულობენ, რომ ჩვენმა მთავრობამ მიიღოს შესაფერი ზომები, რომ მათი ფიზიკური მდგომარეობა იქ უზრუნველყოს და აგრეთვე მისცეს მათ ნივთიერი დახმარება დაუბრუნდენ სამშობლოს. ეს ფრაქციის საქმე არ არის. ეს ერთის მხრით პარლამენტის საქმეა, მეორეს მხრით მთავრობის, მაგრამ ს. დ. ფრაქციას მიაჩნია საჭიროდ დაარსდეს საგარეო საქმეთა კომისია და მას გადაეცეს ყველა ასეთი საქმეები.

აკაკი ფაღავა. (ს.-ფ.) მხარს უჭერს ს.-დემოკრატების განცხადების კომისიის დაარსების შესახებ, მხოლოდ მოითხოვს, რომ სახელი კომისიას სხვა ეწოდოს.

ვეშაპელი. (ნ. დ.) სოციალ-დემოკრატების წინადადება მისაღებია, მხოლოდ ახალი კომისიის არჩევა ზედმეტია. ეს საქმე მივანდოთ საზავო კომისიას, რომლის მუშაობა თითქმის დასრულებულია, და რომელსაც სამუშაო არა აქვს.

რ. არსენიძე: აღნიშნავს, რომ ყოველივე კომისია ირჩევენ სპეციალურ საქმეებისათვის და ამიტომ ის პირნი, რომელნიც შედიან ამა თუ იმ კომისიაში სპეციალურად მომზადებულნი არიან განსაზღვრულ კომისიაში სამუშაოდ. ამ მოსაზრებით არ შეიძლება საზავო კომისიას მივანდოთ საგარეო საქმეთა გარჩევაც. მეორეთ საზავო კომისია მუშაობს ზავის გარშემო და თუ მას დღეს ნაკლები სამუშაო აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალშიც არ ექნება. ვინ იცის, რა საკითხები წამოყოფს თავს სტამბოლის კონფერენციაზე და სხვა. ამასთან ახალ კომისიის მოვალეობა იმით არ განისაზღვრება, რომ მარტო უცხოეთში მყოფ ქართველებზე იზრუნოს, არამედ მის მოვალეობაში შედის ჩვენს რესპუბლიკაში უცხოელთა მდგომარეობის საქმე და სხ. ორატორი მოითხოვს არჩეულ იქნას კომისია და მას ეწოდოს საგარეო საქმეთა კომისია. საბჭომ სოც.-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება მიიღო. კომისიაში არჩეულ იქნენ: მ. საბახტარაშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, არ. მამულაიშვილი, დ. ონიაშვილი, გ. გაგლოევი, შ. ამირეჯიბი და ი. გობეჩია.

აკ. ს—უა

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

5 ივლისი.

ბერლინი. 4 ივლისი. კრონპრინც რუპრეხტის ჯარი. სალამოს ფრონტის ზოგიერთ ნაწილებში სამხედრო მოქმედება გაცხოველდა. დილიდანვე მტერმა დაიწყო ძლიერი სროლა მდ. სომის ორივე ნაპირას. აქ მოხდა აგრეთვე ქვეითა ჯარების ძლიერი ბრძოლა.

გერმანიის კრონპრინცის ჯარი. მდ. ენის ჩრდილოეთით ძლიერი იერიშები სწარმოებს. მულენ სუ-ტუვ-ის აღმოსავლეთით ჩვენ უკუ ვაქციეთ მტერი. დანარჩენ რაიონებში მტრის აგრესიულ მოქმედებას ხელი შეუშალა ჩვენმა მავთულის ხლართებმა.

გალვიცის და გერცოგ ალბრეხტის ჯარი. მაასის აღმოსავლეთ ნაპირზე ძლიერი მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სამხრეთ ელზასში ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები.

სტამბოლი. 4 ივლისი. პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირას გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს ორივე მხრით. საარტილერიო სროლა გაძლიერდა იერუსალიმ—ნაბლუსის გზატკეცილის ორივე მხარეზე. მდ. იორდანის დასავლეთით ჩვენ სროლა აუტეხეთ მტრის ბატარეიას. ამის შემდეგ ბატარეიის ახლოს მდგარ სამ ესკადრონმა დაიხია სამხრეთის მიმართულებით. მდ. იორდანს ორივე ნაპირას მფრინავების გაცხოველებული მოქმედებაა. დანარჩენ ფრონტებზე არაფერი მომხდარა.

ვენა. 4 ივლისი. საარტილერიო სროლა ფრონტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაძლიერდა. აზიაგოსთან და მონტე-სიზემოლესთან ინგლისელების საიერიშო ნაწილებმა ვერ გაიმარჯვეს. მდ. პიავეს ჩასართავში სროლა გრძელდება.

ლონდონი. 27 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობა. ინგლისელების გამანადგურებელ ნაღმოსნების რაზმმა 26 ივნისის საღამოს ბელგიის ნაპირებთან შენიშნეს მტრის 8 გამანადგურებელ-ნაღმოსანი. ინგლისელების გამანადგურებლებმა დაჩქარებით დაიხიეს უკან აღმოსავლეთით და მოულოდნელათ აუტეხეს სროლა მტრის ნაღმოსნებს, რითაც არევ-დარევა გამოიწვიეს მათ შორის. 4 საათის ბრძოლის შემდეგ მტრის ნაღმოსნებს მოემატა კიდევ 3 გამანადგურებელი-ნაღმოსანი, რის შემდეგ ჩვენმა ესკადრამ დაიხია მთავარ ფრონტის ხაზისაკენ. მტერი არ დაგვედევნა ჩვენ და ბრძოლაც ამითი შეწყდა. არც ერთი ჩვენი გემი არ დაზიანებულა.

## უკანასკნელი ცნობები

ბაქოს ფრონტი.

გერმანიის დიპლომატები ცდილობენ შეაჩერონ ბაქოზე ოსმალების შეტევა და მშვიდობიანის გზით მოულონ ბოლო ბრძოლას ბაქოს ფრონტზე. ამ მიზნით მათ მოლაპარაკება ჰქონდათ ენვერ-ფაშასთან, რომელმაც აღუთქვა ბაქოზე შეტევის შეჩერება. აზრათ აქვთ დემარკაციული ხაზი აღადგინონ მებრძოლთა შორის და განაახლონ რკინის გზის მოძრაობა ბაქო-თფილისს შორის. გერმანელები დაიმედებულნი არიან, რომ ბაქოს საკითხი საბოლოვოთ გადაწყდება სტამბოლის კონფერენციაზე.

ს ა ჩ ხ ე რ ე.

სამხედრო მინისტრმა საჩხერედან კაპიტან იშხნელისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: 29 ივნ., ღამის 12 საათ. ბრძოლით საჩხერე აიღო ფხაკაძის რაზმმა. შეიარაღებული ბრბო ბრძოლით იხევდა უკან, მაგრამ ნაწილი დატყვებულ იქნა, დანარჩენი უთავბოლოთ გაიქცა მთებში. საჩხერის დაკავების შემდეგ მიღებულ იქნა ზომები ადგილობრივი და მთელი საჩხერე ქიათურის მცხოვრებთაგან რაიონის იარაღის ასაყრელათ. მცხოვრებლების ნაწილი, რომელსაც არ უნდოდა იარაღის აყრა, მთებში წავიდენ, რომ შეერთებოდენ ოსებს, გზა გადაეჭრათ და იარაღი აეყარათ ჩვენთვის, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცხენოსანისა და ქვეითა რაზმის მოქმედებით მოწინააღმდეგემ მიზანს ვერ მიაღწია. დღეს ყველ სოფლებიდან მოაქვთ იარაღი. შეგროვილია 400-მდე ვინტოვკა. შეპყრობილია ასი ტყვე დაჭერილნი არიან ჯაშ. და პროვაკატორები. იძლევიან მეთაურებსაც. ვფიქრობ, საქმე სავსებით მოგვარებულია.

## ახალი ამბები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა თიანეთში კომისია საქმის გამოსარკვევათ.

◆ მთავრობაში. 4 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებით, მთავრობამ დაადგინა გადაიდოს 2 მილიონი მანეთი ანარქიასთან საბრძოლველათ. მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით საქართველოს ძალის შექმნის შესახებ, დადგენილ იქნა მიენდოს სამხედრო მინისტრს წარმოადგინოს კანონპროექტი ჯარის ორგანიზაციის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ტელეფონის გასაყვანათ დადგენილია გადაეცეს სამხედრო მინისტრს 100 ათასი მანეთი. ამასთანავე შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა მიიღოს ზომა ტელეფონის გასაყვანათ თფილის-სიღნაღ თელავ თიანეთს შორის.

◆ ხოლერა თფილისში შემოტანილია საექიმო-სასანიტარო ბიუროს ცნობით განჯიდან. ავათ ხდებიან ხოლერით განსაკუთრებით ლტოლვილნი.

◆ სასახლე მთელი მისი შენობებით ეროვნულ საბჭოს დადგენილებით უნდა გადაეცეს მიწათ მოქმედების სამინისტროს.

◆ დამცველმა შტაბმა დააპატიმრა ილარიონ ანფილიადი, მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევისათვის. პორ. შავგულიძე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შეურაცხყოფისათვის. სათადარიგო აგენტი პეტრე კურიანი პროვოკაციისათვის. დააპატიმრეს ჯარისკაცები, ოზიანი, ბულიჩინი კიბილოვი და კლიმენკო.

◆ კავკავში გაგზავნილი შაქარი თფილისიდან სიმინდის ფქვილზე გასაცვლელად წონით 972 ფუთი და 38 გირ. საქართველოს სამხედრო გზაზე აჯანყებულებმა წაართვეს. ტრანსპორტის მხლებლები ტყვეთ ჰყავდათ წაყვანილი, რომლებიც ახლა თავისუფალნი არიან.

◆ ოგაინოვის გაძარცვისათვის მილიციონერებმა დააპატიმრეს ჯარისკაცები: ჟორდანია, ახვლედიანი და სხვ. დატუსაღებულნი დანაშაულში გამოტყდენ.

◆ ოსი მუშების კრება კვირას, 7 ივლისს დილის 8 საათზე მუშტაიდში დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია საერთო კრება ოსი მუშებისა, რომლებიც ითვლებიან სოციალ დემოკრატიულ პარტიის წევრებად, ან თანაუგრძნობენ მას. ილაპარაკებენ გ. გაგლოევი, ა. ფარნიევ და სხვები თანამედროვე კითხვებზე.

◆ იუსტიციის მინისტრის მოხსენებით სამოსამართლო დაწესებულებათა შესახებ ახალ კანონების გამოცემამდე, დაადგინეს სისხლის სამართლის საქმეები, რომელნიც სიკვდილით დასჯის კანონშია აღნუსხული, უნდა გაარჩიოს სამხედრო საველე სასამართლომ და რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა

◆ ფინანსთა სამინისტროსთან მინისტრის ხელმძღვანელობით დაარსდა საგანგებო კომისია, რომელმა უნდა შეიმუშაოს სადამოჟნო და სხვა გადასახადების საკითხი მეზობელ სახელმწიფოებთან. კომისიას მიზნათ აქვს რუსეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა გააძლიეროს. საქონლის გაზიდვა გამოზიდვისათვის მცირე გადასახადია დანიშნული.

◆ დაცვის შტაბის არსებობა თფილისში საჭიროთ არ სცნო მუშ. და ჯარ. კაც. დეპ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იმ დროს, როცა სხვა დაწესებულებებსაც დავალებული აქვთ წესრიგის დაცვა ქალაქში. საბოლოოთ შტაბის გაუქმების საკითხი მთავრობაზეა დამოკიდებული.

◆ „განათლების" საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება არის დანიშნული კვირას, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკში. სასახლის ქ. № 6. შესახებ ქალთა სამასწავლებლო (სემინარიის) ინსტიტუტის განათლების სამინისტროს გარდაცემის გამო.

◆ კოოპერატივთა საყურადღებოთ. მიუხედავათ იმისა, რომ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წესდებაში მე 32 მუხ. ნათქვამია, რომ წლიური კრება უნდა მოხდეს არა უგვიანეს 1 ივლისისა, მიმდინარე წელს დამოუკიდებელ მიზეზებ-ს გამო, გადატანილ იქმნა სექტემბრამდე. თუ რა დღეს იქნება კრება ამაზე კავშირი ცალკე გამოაცხადებს.

◆ გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას თან მოჰყვა აგრეთვე სამეურნეო განყოფილება, რომლის ბიურო მოთავსებულია გრიბოედოვის ქ № 18. ცნობის მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირას გარდა) დილის 11—12 ნახევარ საათამდე.

◆ დ. გ. აფხაზი, მთავარი გამგე საგანგებო სალიკვიდაციო კომისიისა ფინანსთა სამინისტროსთან იღებს მთხოვნელთ: 1) ლიკვიდაციის საქმეების შესახებ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით დილის 11 საათიდან 1 საათამდე; 2) სამრეწველო საქმეების შესახებ სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 1 საათიდან 2 საათამდე; 3) ყოფილ კავკასიის რაიონის საქარხნო საბჭოს ლიკვიდაციის საქმეების შესახებ ხუთშაბათობით 11 ნახევრიდან 12 საათამდე. რიგში ჩაწერა მთავარ გამგის პირად მდივანთან.

◆ პოეტების საღამო. დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება „ცისფერი ყანწების" საღამო. მოხსენებებს წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ა. არსენიშვილი. საკუთარ ლექსებს და ფრანგ პოეტების თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, ელენე დარიანი, კ. ნადირაძე და სხვები.

◆ მუშათა კლუბში დღეს 6 ივლისს რუსული დრამატიულ დასის არტისტები გამართავენ წარმოდგენას და საკონცერტო განყოფილებას.

## პროვინციის ქრონიკა

გორი. ამას წინეთ ბორჯომში დაიკარგა სამხედრო ორგანიზაციის კუთვნილი 75,000 მან., რომელიც აღმოაჩნდა იმავე პოლკის პრაპ. გვერდწითელს, რომელიც დაატყვევეს და ციხეში ჩასვეს. ფული ამოჩნდა უკლებლივ თავის სახლში.

ამ უკანასკნელ დროს გორს აუარებელი ლტოლვილები მოაწყდა და იმდენათ გამრავლდა მათი რიცხვი, რომ ბინაც ვერ უშოვია ქალაქის გამგეობას. დაარსდა ორი კომიტეტი. ქართველ ლტოლვილთა და სომხების. უკვე თავი იჩინა ავადმყოფობამ სახადის სახით. დღემდე უკვე შვიდი შემთხვევა იყო.

საჭიროა სასწრაფო ზომები, თორემ ქალაქი შეიძლება ავადმყოფობამ მოიცვას. ჯერჯერობით არ არის არც სანიტარული ექიმი და არც ექიმის თანაშემწე, დრო კი არ ითმენს.

გორში, ქალაქმა გახსნა უფასო საავადმყოფო ღარიბესი მოქალაქეთათვის უფასოდ ოცი საწოლით, არის ექიმი, ორი ფერშალი, საავადმყოფოს გამგე და ორი მოსამსახურე. ჯერ-ჯერობით 4 ავადმყოფია მოთავსებული.

## ჩვენი ტყვეები

სად. ნატანები. 29 ივნისს ბათუმიდან ჩამოვიდა ნატანებში ოთხი ვაგონი ქართველი ტყვე ჯარის კაცებით რომლებიც იყვნენ თათრებისაგან დატყვევებული. ვაგონები სადგურზე გაჩერდა. ტყვე ჯარის კაცები ვაგონებიდან ჩამოვიდნენ, მაგრამ ვაი ასეთი ჩამოსვლა. მაყურებლები მათ თვალს ვერ უმაგრებდენ, ისეთ სურათს წარმოადგენდა ტყვე ჯარისკაცების მდგომარეობა. ერთი შეხედვით, თვით საკუთარ ძმას ვერ იცნობდით. გამხდარ-გაყვითლებულნი, შიშველ—ტიტველნი, ფეხთ—საცმელი და შარვალი თითქმის სულ არ ეცვათ. ზევით დაფლეთილი პერანგი და ზოგს ისიც არა და მის მაგივრათ რაღაც მჩვარის ნახევი ჰქონდათ მოფარებული.

სწორეთ საშინელ სურათს წარმოადგენდა მათი შეხედულება. ფეხები დაზიანებული და დაავადმყოფებული.

როგორც გადმოგვცეს ისინი დაუტყვევებიათ მარტში, გაუგზავნიათ ტრაპიზონში და მას შემდეგ წვალება—გაჭირვებაში განუვლიათ ეს დღეები. ტანისამოსები ხომ მაშინვე გაუხდიათ, ჩაუცმევიათ როგორც ძონძები და ასე გაუყვანიათ სამუშევრათ. ერთი დღის დასვენებაც კი არ რგებიათ ამ ოთხი თვის განმავლობაში. თვით აღდგომა დღეს უთხოვნიათ ჯარის კაცებს უფროსებისთვის ერთი დღით დასვენება, მაგრამ ცივი უარით შეხვედრიათ. დღეში აძლევდენ ერთ გირვანქა მჭადს მარტო, ასე გაუტარებიათ მათ ეს დრო. მუშაობის დროს კიდეც სცემდენ და აწვალებდენ თურმე ჩვენს ჯარის კაცებს. ერთს ტყვეს შევეკითხე: თათრის ჯარის მდგომარეობაზე მან მითხრა: მათი მდგომარეობა ჩვენზე უარესიაო. ტანისამოსი აღარ აქვთ, მხოლოდ ზოგიერთ ალაგას შეხვდებით რომლებსაც ჩვენი ტანისამოსი აცვიათო. ისინი გამოუგზავნიათ ტრაპიზონიდან 17 ივნისს ბათუმში. იქ ჩვენებს დაუტოვებიათ ექვსი დაავადმყოფებული და ერთი მკვდარი, რომელიც შიმშილ—წვალებისაგან გარდაიცვალა.

ზღვით ექვსი დღე უმოგზაურიათ, ამ ხნის განმავლობაში მიუციათ სამოცამდე კაცისთვის ორი ოყა (6 გირ.) მოხარშული სიმინდი რომლიდანაც თითოეულს ორ-ორი კოვზიც არ შეხვედრია. როდესაც სიმშილით ნამეტანი გაჭირებიათ ჯარის კაცები იძულებული გამხდარან მოეთხოვათ უფროსისათვის საჭმელი, მაგრამ თათრების აფიცრის პასუხი ასეთი ყოფილა; „ექიმებისაგან შემოწმებულია რომ კაცი თხუთმეტ დღეში სიმშილით არ მოკვდებაო და მანამდე ან ჩვენ ჩავალთ ბათუმში და ან ქარი ჩაგვიყვანსო". ასეთი ყოფილა თათრის აფიცრების პასუხი ჩვენი ტყვე ჯარის კაცებისადმი.

როდესაც ამ ამბებს ტყვეები ლაპარაკობდენ, მათ სიმართლეს სახე უმტკიცებდა და მსმენელთ ბოღმით გული ევსებოდა.

ერთმა მათგანმა დასძინა: ეხლაც მეშინიან და შიში მიპყრობს ხოლმე, როდესაც გამახსენდება გაჭირვებაში გამოვლილი დღე და წუთები.

ასეთი იყო ტყვეების გულიდან ამონახეთქი დამაღონებელი სიტყვები!

გ. სერგეთელი.

## მოვალეობის მსხვერპლი

ავქსენტი იულონის ძე ჩხაიძე.

ახია იმ ჩერჩეტ იულოზე, რაც დაემართა...

ეხლა მოყვეს და იცეს თავში, იყვიროს შვილო შვილოო...

ორი შვილი ომში ჰყავდა, ერთი მათგანი სასიკვდილოთ დაჭრილი არზრუმის აღების დროს ძლივს გადარჩა.

დემობილიზაცია მოხდა და ხელმეორეთ ომში წასვლა არ დაუშალა შვილებს...

არა თუ დაუშალა, აქეზებდა კიდეც წასასვლელათ.

მესამე შვილი ავქსენტი, რომელიც კატორღაში იყო პოლიტიკურ დანაშაულობისათვის, ძვალ ტყავათ გადაქცეული ილაჯ გაწყვეტილი, ცოტაღა მოსულიერდა და ისიც მოხალისეთ ჩაეწერა—ბათომი განსაცდელშიაო.

იულომ დაშლის მაგივრათ მოუწონა, უთხრა, რომ არ ჩაწერილიყავი ჩემი შვილი არ იქნებოდიო.

სამივე შვილი ომში გაუშვა და თითონ ეს ბებერიც სწავლობდა იარაღის ხმარებას თუ გარეშე მტერს არა, შინაურს მაინც მოვიგერიებო. არა... ნამეტარს შვრებოდა; ძველი მთავრობის დროს დევნილების ბუდე მის სახლში იყო,—რაო და ეს ახალ თაობისათვის არიან დევნილნიო.

ვინ იცის რაებს არ ჩადიოდა, მაგრამ ახლა? ეხლა ქვა იცეს თავში, რაც მოუვიდა მისივე ბრალია, ახია მაგაზედ..

ასე ამბობენ იულოზე ბალშევიკების სამოსელში გახვეულნი, თავისუფლების მოღალატე ზოგიერთი „დეზერტირები" რა რომ მას იულოს მოუკლეს ოსმალოებთან შეტაკებაში საყვარელი შვილი ავქსენტი.

ავქსენტი რა რომ კატორღიდან დაბრუნდა, თუმცა ძალაზე დასუსტებული იყო, მაგრამ ამისდა მიუხედავათ მაინც ჩაება მის საყვარელ ორგანიზაციებში მუშაობას და თავ გამოდებით, პირნათლათ ასრულებდა ხალხის სამსახურს. მოუწოდებდა ყველას საქმისაკენ.

ბათუმის განსაცდელის დროს ბათუმს მიაშურა, იქაც გულწრფელათ ასრულებდა ყოველივე ვალდებულებას, მაგრამ რა რომ ბათუმი [illegible] ნაწილ-ჯარის კაცებთან გამოეშურა უკან ([illegible] კი დავრჩით „ჩვენიანების" [illegible] ზარბაზნების დასახსნელათ) რომ კვლავ განეგრძო თავისუფლების სასარგებლოთ ბრძოლა.

ბრძოლა შეწყდა...

ბათუმ დან ტყვეებიც დაბრუნდნენ ავქსენტი კი არსად ჩანდა...

როდესაც ჩვენებმა სანგრები დაათვალიერეს ოსმალების მიერ ოზურგეთის დაცლის შემდეგ, სხვა გვამებთან ერთად გახრწნილი გვამიც ნახეს, ნახევრათ ტიტველ ჩონჩხზე ავქსენტის ხალათი იცნო მისმა ძმამ რაფიელმა. ნახა აგრეთვე ჯიბეში მანდატი ავქსენტისა.

ამის შემდეგ დამტკიცდა ავქსენტის ბრძოლაში დაცემა.

ძნელია ძმაო, მეტად ძნელი ატანა შენი ამხანაგებისათვის შენი და შენისთანა ძვირფასი მუშაკების დაკარგვა...

შენ არ იყავ მარტო ენის, სიტყვის კაცი, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევიათ; შენ ხალხის ყოველივე სამსახურს საქმით გვიმტკიცებდი და აჰა, ეხლა სიკვდილით დაგვიმტკიცე, რომ თავისუფლებისათვის არც სიცოცხლე დაიშურება.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო, შენი წმინდა სახელი შენი ამხანაგების გულში ხელთუქმნელ ძეგლათ მუდამ იდგმება და ვიბრძოლებთ შენი წმინდა ანდერძის თანახმად, სანამ ჩვენც შენსავით არ დავეცემით ბრძოლის ველზე და თქვენ კი, იულო მელქისე და რაფიელ, თავი ინუგეშეთ მით, რომ თქვენმა პირველის შვილმა და უკანასკნელების ძმამ თავი შესწირა ძვირფასი სიცოცხლე უძვირფასის თავისუფლებას.

სამსონი.

## კირიონი

(მოგონება)

კირიონი მაშინ დევნილი ეპისკოპოსი იყო და კათედრის მაგიერ ის მოეთავსებიათ ერთ ერთ მონასტრის სენაკში. 1911 წლის მიწურულში მე სხვა და სხვა საქმეების გამო მოსკოვიდან ყირიმს მომიხდა წასვლა, სადაც რამოდენიმე ხანი დავყავი.

სევასტოპოლში ყოფნის დროს მე ამხანაგებით ხერსონესის მონასტრის დასათვალიერებლათ გავემგზავრე. ძლიერი ქარის წყალობით ჩვენ ფილუკამ ხუთი ვერსი სწრაფათ გასცურა.

ნაპირზე ასვლისას ბერების ხელში ჩავვარდით, დიდხანს გვატარეს, გვაჩვენეს, თუ კი რამ ღირს-შესანიშნავი იყო იქ.

ამ დროს მომაგონდა, რომ ეპ. კირიონი სევასტოპოლის ერთ-ერთ მახლობელ მონასტერში იყო დაბინავებული.

როდესაც ბერს ჩემი ცნობის მოყვარეობა გავუზიარე, მან მახლობელ შენობაზე მიმითითა. ჩემ თანამგზავრებში ერთი ნაფიცი ვექილი ყველაზე უფრო მოტრფიალე იყო წირვა ლოცვის და გაიგო თუ არა ეპისკოპოსის იქ ყოფნა, და ისიც ქართველის, (ქართველების განსაკუთრებული სიყვარული ქონდა), მაშინვე უკან დამედევნა.

ნაჩვევ სახლის წინ მოსეირნე ბერს ვკითხე, თუ სად ცხოვრობდა ეპ. კირიონი.

„თქვენ რა საქმისთვის გინდათ ინახულოთ ეპისკოპოსიო" გვითხრა თავის მხრით ბერმა.

როდესაც განუმარტე, რომ მე არა საქმისთვის, არამედ როგორც ეპისკოპოსის თანამემამულე მივდივარ მასთან, ბერმა თავაზიანათ გვთხოვა გამოვყოლოდით მას.

შევედით თუ არა სენაკში, ბერმა ანაფორა წამოისხა და გამოგვეცნაურა: ეპისკოპოსი კირიონიო, რამაც ჩვენ ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა.

ბევრი მწარე თავგადასავალი გვიამბო კირიონმა. ათასნაირ დაპირებებში ერთიც არ შეუსრულებიათ ჩემთვისო.

ბოლო ხანებში კიევის მიტროპოლიტი ფლაბიანე დაპირებოდა კათედრას, მარა, რამდენაც მახსოვს კირიონს ადგილი მისცეს მხოლოთ ფლაბიანეს სიკვდილის შემდეგ.

ეპისკოპოსმა შემდეგ თავისი მდიდარი წიგნთსაცავი დაგვათვალიერებია, რომლის უმეტესი ნაწილი უკვე გამოეგზავნა საქართველოში საეკლესიო მუზეუმისთვის. „ვინაიდან კანონის ძალით მე ანდერძის უფლებას მოკლებული ვარ, მინდა, სამშობლოს არაფერი დაეკარგოს და სიცოცხლეშივე ვაგზავნი ჩემს ბიბლიოთეკასაო".

როდესაც წიგნთსაცავის დათვალიერების დროს მე მაგიდაზე „სახალხო ფურცელი" დავინახე, კირიონს შევეკითხე: „თქვენო უსამღვდელოესო, მემარცხენე გაზეთი არ მოგდისმეთქი. ამ კითხვაზე აიღო იქვე მდებარე სევასტოპოლის რადიკალური გაზეთი „Крымскiй Курьеръ"-ი და მომცა ხელში. „მე ქართული გაზეთი მაქვს მხედველობაში და ეს ასეც რომ არ იყვეს. „Крымскiй Курьеръ"-ი აბა როგორი მემარცხენე გაზეთია" მეთქი.

მაშინ ეპისკოპოსმა სიცილით მითხრა: „ჰა, შენ სოციალ-დემოკრატი ყოფილ-

ხარო, მე კი სოციალ-დემოკრატები არ მომწონს, ვინაიდან მათ ენა და სამშობლო არ უყვართო.

სამღვდელოებ[ა] ს მსოფლმხედველობა, რაც გინდ ლიბერალური იყვეს ის, მუდამ ჩვენი უარისყოფაა. ეს ყველასთვის აშკარაა, მარა მე მაინც აღვნიშნე, რომ საქმით ენის და სამშობლოს სიყვარულში სოციალდემოკრატიას შემცილე არ ჰყავს; თუ ქართველი ხალხი ჟურნალ-გაზეთების კითხვას დაეწაფა, ეს სოციალდემოკრატების დაუშრეტელი ენერგიის შედეგია. რაც შეეხება სამშობლოს სიყვარულს, არავის ეს არ დაუმტკიცებია ისე, როგორც ამ მიმართულების მიმდევართ. არ მოიპოვება ციხე, სადაც ჩვენები არ იყვეს დამწყვდეული, ციმბირის მიდამოები სავსეა ჩვენებით და სალრჩობელაც ხომ მხოლოდ ჩვენთვის იმართება; მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ ასეთი შეხედულობის ბრძანდებით ჩვენზე და ვაი თუ ეს იმით აიხსნება, რომ თქვენ მარტო „სახალხო ფურცელი“ მოგდით-მეთქი.

დაბოლოს ჩემი ნათქვამის დასადასტურებლათ პროფ. ალ. ხახანაშვილი მოვიყვანე. ის ჩვენი მოწინააღმდეგე იყო მუდამ, მაგრამ სოციალდემოკრატიულ მუშაობას დიდ კულტურულათ სთვლიდა-მეთქი.

ვფიქრობ, კირიონის დუმილი ჩემი სიტყვების შემდეგ არ იყო იმის მომასწავებელი, რომ მე მისი შეხედულება ჩვენზე შევარყიე.

ჩვენი კამათი ამაზე შეწყდა. გამოსალმებისას მთხოვა კიდევ მენახულა, თუ შემთხვევა მექნებოდა და თავის უკანასკნელი შრომის თითო ცალი ჩვენ გვითავაზა.

„Вліяніе Иверіи на Русь“ იმდენათ შინაარსიანია, რომ არ შემიძლია ზოგიერთი შთაბეჭდილება არ გავუზიარო მკითხველთ. შიგ არის გატარებული იმოდენა ორიგინალური, ხანდახან პირდაპირ დაუჯერებელი აზრები, რომ მკითხველის გაოცებას საზღვარი არ აქვს.

„ქართლის ცხოვრების“ მთელ ფურცლებს უფარდებს რუსულ Русская правда“-ს და უკანასკნელის ბევრი ადგილები სიტყვა-სიტყვით თარგმანია პირველის.

მიაქციეთ ყურადღება, თუ საიდან წარმოსდგება რუსულ მატიანეში ხშირათ ნახმარებული „бѣль-серебро“ რუსის მკვლევარები ამის შესახებ ერთ აზრს ვერ დასდგომიან.

ვინაიდან ძველათ საქონლის გაცვლა-გამოცვლის დროს ტყავს ფულის ადგილი ეჭირა, ამიტომ გაბატონდა ის აზრი, რომ სიტყა „бѣль“ შემოკლებული „бѣлыи“-ა და თრითინას (бѣлка) ტყავს ნიშნავს. შემდეგ სხვებმა ეს აზრი გააბათილეს, ვინაიდან აღნიშნავდენ, რომ ყველა „бѣлка“ თეთრი როდია.

ამ მოსაზრების შემდეგ კირიონი იმ აზრს დაადგა, რომ „бѣль-серебро“ პირდაპირ თარგმანია ჩვენი „თეთრი ფულის“.

აუარება მაგალითები მოჰყავს კირიონს იმისი თუ, რა გავლენა იქონია საქართველომ რუსეთზე. მისი გამოკვლევით რუსული სხვადასხვა ფერები: алый, чалый лиловый და სხვა. ქართული ალის ფერი, ჩალის ფერი, ლილისფერია.

მე, როგორც ზევით ვთქვი, შთაბეჭდილებას ვუზიარებ მკითხველს; გამოკვლევის დაფასება კი სპეციალისტების საქმეა.

მეცნიერული გამოკვლევა საზოგადოთ მით უფრო დიდმნიშვნელოვანია, რამდენათ ის მკითხველის ცნობის მოყვარეობას აფართოებს და მასში სულ ახალ კითხვებს ბადებს.

ამ მხრით ზემოთ დასახელებული წიგნი, მეტათ საინტერესოთ უნდა ჩაითვალოს. თქვენ კითხულობთ და თავს ვერ ანებებთ უკანასკნელ ფურცლამდე.

ამავე დროს თქვენ რწმუნდებით, თუ რა ცოდნით აღჭურვილია კირიონი თავის სფეროში. უთვალავი მასალით უსარგებლია ავტორს, რაიც, რა თქმა უნდა დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვდა მისგ ნ. რამდენათ მახსოვს, ზოგიერთი რუსის მკვლევარიც დიდის პატივისცემით იხსენიებდა კათალიკოს კირიონის შრომებს.

პ. კახიანი.

# მასწავლებელთა შორის

**ახალ-სენაკი.** 30 ივნისს შესდგა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ახალ-სენაკის ფილიალურ განყოფილების სახ. მასწავლებელთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პირველდაწყებით სასწავლებლის გამგე, მასწავლებელი მიხ. თათარიშვილი, მდივნათ ა. ჯიქია. დღიურ წეს-რიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) კურსების მოწყობა; 2) ცენტრის შექმნა; 3) ჯამაგირების მოწესრიგება; 4) სარევიზიო კომისიის არჩევა და 5) საამხანაგო სასამართლო.

პირველ სამ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს მიხ. თათარიშვილი. ის აღნიშნავს, თუ რა არა ნორმალურ პირობებში სწარმოებდა გასულ სამოსწავლო წელს სწავლა იმის გამო, რომ სახალხო მასწავლებელთ არ მიეცა საშუალება სკოლაში სათანადო მომზადებით შესულიყვენ და სწავლა-აღზრდის საქმისათვის დროის შესაფერი მიმართულება მიეცათ. როგორ არ უწყობდა ხელს გასულ წელს მოუმზადებლობა სკოლებში შესულ მასწავლებელთ ესარგებლათ რევოლიუციის მონაპოვარი უფლებებით და განეხორციელებიათ ცხოვრებაში სკოლის გაეროვნება-გაქართულება. მიუთითებს რა, რომ საჭიროა ეხლავე, სანამ დრო გვაქვს კიდევ, გამოვასწოროთ შეძლებისა დაგვარათ მასწავლებელთა მოუმზადებლობის საქმე, აღნიშნავს, რომ თუ ვერ მოახერხა მასწავლებლობამ კურსების მოწყობა, ლამის არის სკოლის გაქართულების საქმემ არა სასურველი მიმართულება მიიღოს და ისედაც დამახინჯებული ჩვენი სკოლა სულ არარათ იქცეს. ამ საკითხის შესახებ კრებამ ერთხმათ აღიარა კურსების აუცილებლობა და დაადგინა: 20 ივლისიდან გაიხსნას კურსები ფილიალის მასწავლებელ წევრთა ხარჯით; მოსულ მასწავლებელთ მიეცემა მხოლოდ ბინა; ლექტორათ მოწვეულ იქნას სილიბისტრო გიორგის ძე ლომია, რომელიც ლექციებს წაიკითხავს ქართულ ლიტერატურიდან და გეოგრაფიიდან. ლომიაც კრებას დაესწრო და შეგვპირდა ლექციების წაკითხვა ხსენებულ საგნებში. ლექტორათ მოწვეულ იქნება აგრეთვე ფოთის გიმნაზიის მასწავლებელი გიორგი ჩიტაია. სხვათა შორის ადგილობრივ გიმნაზიის მასწავლებელმა გიორგი ჯაკობიამ აღუთქვა კრებას უსასყიდლოთ სახ. მასწავლებლებს კურსებზე შეასწავლეს გერმანული და ფრანგული წერა-კითხვა. თავმჯდომარემ კრების სახელით გ. ჯაკობიას მადლობა მოახსენა. კურსები გაგრძელდება დაახლოვებით ერთ თვეს. ცენტრის დაარსების შესახებ მომხსენებელი მიუთითებს კრებას იმ გარემოებაზე, თუ როგორ დაქსაქსულია დღეს მასწავლებელთა ძალა და არ მოიპოვება ადგილობრივ იმისთანა რამ შემაერთებელი, რომელიც შესძლებს ასე თუ ისე მოაწესრიგოს ბევრი საჭირბოროტო სასწრაფო კითხვები, ამის გამო კრებამ იქონია მსჯელობა და საჭიროდ სცნო ამ მოკლე ხანში მოეწყოს სენაკის მაზრის ფილიალების დელეგატთა ყრილობა, რომელმაც უნდა შექმნას ცენტრი ახალსენაკში.

ჯამაგირების შესახებ მ. თათარიშვილის მოხსენების შემდეგ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს სახ. მასწავლებელთა ხვედრი ფულის დროზე მიუღებლობის გამო, კრებამ დაადგინა—გაიგზავნოს დელეგატი თფილისში, რომელმაც უნდა სათანადო განმარტება მისცეს სახ. განათლების და ფინანსთა მინისტრებს მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ ჯამაგირების მიუღებლობის გამო. დელეგატად არჩეულ იქნა მიხეილ პ. თათარიშვილი; იმ ხარჯების დაფარვა, რაც მოუვა დელეგატს, უნდა იკისრონ სენაკის მაზრაში არსებულ ფილიალებმა, ვინაიდან დელეგატი წარუდგება მთავრობას მთელი სენაკის მაზრის მასწავლებელთა სახელით. დანარჩენი ორი კითხვა დროის უქონლობის გამო გადაიდო შემდეგისათვის.

მდივანი ა. ჯიქია.

P. S. ვთხოვ „სახალხო საქმეს“ რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

# რუსეთი

### ქ. ცარიცინი.

დღეს, როგორც საერთოდ რუსეთში აგრეთვე ცარიცინში და მისირგვლივ ბალშევიკური მთავრობა განაგებს, მთავრობის თავმჯდომარე და ბალშევიკების ლიდერი არის ს. კ. მინინი, ეს ის ცნობილი მინინია, რომელიც კერენსკის დროს ცარიცინის გარნიზონში მხურვალე აგიტაციას ეწეოდა ჯარში, რომ ფრონტზე არავინ წასულიყო. მან თავისი მახვილი და მჭერ-მეტყველური ენით ისეთი ნდობა მოიპოვა ბნელ მასაში, მით უმეტეს ჯარში, რომ ცარიცინში პატარა „სამეფო“ ტახტი შექმნა და თავის თავი მეფეთ გამოაცხადა, რომლის დანგრევას დღეს ზარბაზნების ქუხილით და ტყვიისმფრქვევლებით ლამობს ხალხი, მაგრამ ჯერ ჯერობით ამაოთ. ქ. ცარიცინი ახლო წარსულში ერთი თვალსაჩინო სამრეწველო ადგილს წარმოადგენდა, სადაც ხუთი-ექვსი დიდი და რამოდენიმე წვრილი ქარხანა მუშაობდა, როგორც მაგალითათ ხე-ტყის სახერხი, აგურის, ტყავა წამლის, საპონის, სპიჩკის და სხვა მრავალი, მუშათა რიცხვი 25,000-მდე ადიოდა, გემების სისტემატიურათ მიმოსვლა, რკინის გზა სამი მხრიდან შემოდიოდა, თვით ქალაქში აუარებელი სავაჭრო სახლები და წვრილი მოვაჭრეები იყვენ, ბაზარი ხომ საუცხოვო,—აუარებელი სანოვაგე, ერთი სიტყვით, როგორც სამრეწველო ქალაქი ის თავის კალაპოტში ვერ ეტეოდა.

მაგრამ დღეს! დღეს ყოველივე ეს გაქრა, როგორც საერთოთ რუსეთში, ბალშევიკებმა აქაც მოსპეს სიცოცხლის ნიშანწყალი და ეს მშვენიერი სამრეწველო ქალაქი მტრის მიერ აოხრებულ სოფლათ გადაიქცა.

გემების და მატარებლის მიმოსვლა შეწყდა, ფოსტა-ტელეგრაფი განადგურდა, ბაზარი დაცალიერდა, სავაჭრო სახლები დაიხურა, გლეხს ბაზარზე სანოვაგე აღარ შემოაქვს რეკვიზიციის შიშით ქარხნები დაიხურა, უმუშევართა ხელი გამრავლდა. ერთი სიტყვით, ქალაქი ჯოჯოხეთათ გადაიქცა.

გაიმარჯვა თუ არა ბალშევიკურმა მთავრობამ, პირველი ნაბიჯი ნაციონალიზაციისკენ გადადგა. რომ მეტი ნდობა და სახელი დაემსახურებია მუშათა მასსაში, მან პირველათ დიდ მექარხნეთ და გემების პატრონებს საკუთრება ჩამოართვა და მუშებს გადასცა. პირველმა ასეთმა ნაბიჯმა ბალშევიკებს დიდი ნდობა და სახელი მიანიჭა, მაგრამ ბოლო ცუდი გამოდგა და მუშათა და მთავრობის შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა.

მოვიყვან ერთ მაგალითს: ცარიცინში მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხანა უდიდესი ქარხანა იყო;ეს ქარხანა ჩამოერთვა მაქსიმოვს და აუარებელი დამზადებული თუ დაუმზადებელი მასალით მუშებს გადაეცა. თვის განმავლობაში ქარხანა ნედლი მასალისაგან გაიცალა, დამზადებული მასალა ხომ ჩაბარების დღიდანვე სახლებში გაზიდეს, ქარხანაში მანქანების ძვირფასი ნაწილები მოიპარეს და ერთ მშვენიერ დღეს ამ ვეებერთელა ქარხანამ სული განუტევა და 3—4 ათასი მუშა ხელი ულუკმა პუროთ ქუჩაში დასტოვა. მუშები იძულებული შეიქმნენ მიემართათ მთავრობისთვის, რათა მათ გამოეღოთ თანხა, ხელმეორეთ ქარხანა ემუშავებიათ, მაგრამ მთავრობისაგან ვუარი მიიღეს, მიმართეს ისევ მაქსიმოვს თხოვნით, ბოდიშს ხდით, რომ მას განეგრძო ძველებურ პირობებში მუშაობა, მაგრამ მაქსიმოვიდან შემდეგი დაცინვის ხასიათის პასუხი მიიღეს: ქარხანა თქვენია და მე რა უფლება მაქვს ის ვაწარმოვოო. ამ რიგათ, ქარხანა დღესაც გაჩერებულია და ეს 3—4 ათასი მუშა ხელი ქუჩაში უმუშევრათ იმყოფება. ასეთი მაგალითები მოხდა სხვა ქარხნებშიც, უმუშევართა რიცხვი უზომოთ გაიზარდა, ამას დაერთო ჯარის დემობილიზაცია, აუარებელი სალდათი ქალაქში დაბრუნდა უსაქმოთ და თებერვლის რიცხვებში ცარიცინში უმუშევართა რიცხვი 20 ათას კაცს უდრიდა; ამას მოყვა ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, რაც იმ ზომამდე მივიდა, რომ უკანასკნელად დღით 10—12 კაცი დანებით შეიარაღებულნი შედიოდენ სახლებში, ხოცავდენ განურჩევლათ დიდსა და პატარას და რაც შეხვდებოდათ, გაქონდათ. ასეთი მაგალითები დღეში 10 თუ 12-მდი ხდებოდა. ქალაქში ვაჭრობაც გაქრა. ბალშევიკებმა გამარჯვების პირველი დღიდან ვაჭრებს რამოდენიმე მილიონი კონტრიბუცია გააწერეს, შემდეგის პირობით: თუ ხუთ დღეში არ შემოიტანდენ, ქონების ჩამორთმევით ემუქრებოდნენ. პირველათ გაწერილი კონტრიბუცია მოვაჭრეებმა დაუყონებლივ ვადაზედ ერთი დღით ადრე შეიტანეს, ეგონათ, რომ ეს კონტრიბუცია ერთდროული იქნებოდა, მაგრამ, საუბედუროთ, ასეთმა კონტრიბუციამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. ასეთი აუტანელი კონტრიბუცია, მოსაგების ზედმეტი გამოდგა და ვაჭრები იძულებული გახდენ სავაჭრო დაეკეტათ და ქალაქიდგან გასულიყვენ. ამას მოყვა დაკეტილ მაღაზიებში ფას გადაუხდელი რეკვიზიციის გაკეთება, ვაჭრები თავის საკუთრებაზე ხელ-აღებულნი ქუჩაში დარჩენ, რომელსაც ქალაქიდან გასვლის ნებაც არ მისცეს. ამ რიგათ, მთელი სავაჭროები თითქმის დაიხურა და ქალაქიც გაიყინა.

სამაგიეროთ, გაიმართა ახალი ფორმის ვაჭრობა ქუჩ., რასაც უმეტესათ ყოფილი ჯარის კაცები ეწევიან, უწინდელი დიდი სავაჭრო სახლის წინ ეხლა პატარა ბუტკებია ხის აშენებული და შიგ გაჩაღებულია ვაჭრობა, საქონლის ფასმა ერთი ოცად აიწია. ხედავ რომ ნამდვილი ძარცვაა, ასეთი ვაჭრობა, მაგრამ თუ გაბედე და რამე სთქვი—ჯარის კაციდგან კარგს მუჯლუგუნს მიიღებ. „ეჰ! შენ ბურჟუავ მე პოზიციაზე ვიყავი, შენ კი ფულებს შეიძინე ეხლა დრო გამოიცვალა. მე უნდა ვიშოვნო“-ვო.

ბაზარზე სანოვაგე აღარ შემოდის, სადაც დღემდე აუარებელი ფქვილი, კარტოფილი და სხვა სანოვაგე შემოქონდა გლეხს.

რამ გამოიწვია ეს? რეკვიზიციამ. ქალაქში დგანან გვარდიელები და ვისაც კი უნახავენ შემოტანილ ფქვილს ან სხვა რამეს, რაც ჯარისთვის საჭიროებას კი წარმოადგენს, ხელათ ჩამოართმევენ, და რომ თავ სი შრომის ღირებულების ნახევარი მაინც მიიღოს ორი ან სამი დღე უნდა უცადოს ბედშავმა მთავრობის მოხელეებს კარებთან.

ინტელიგენციაც საკმაოთ მოიპოვება, —ვექილები, მასწავლებლები, ექიმები, „ჩინოვნიკობა“ და სხვა, მაგრამ ისინი იმდენათ დატუქსა ბალშევიკურმა მთავრობამ, რომ არამც თუ მოძრაობის სათავეში ჩადგნენ და პასუხი გასცეს ცოცხალ კითხვებს, შიშით გარეთ ვერ გამოსულან. არ მახსოვს რომელ №-ში იყო. მხოლოდ შინაარსი მახსოვს მინინის მოწოდებისა ინტელიგენციის შესახებ; „მუშებო და ჯარისკაცნო“ სწერდა მინინი, ექიმები, ვექილები სასამართლოს მოხელენი მასწავლებელნი აფიცრობა და საერთოთ მოსწავლე თაობა ეს ბურჟუაზიულ კლასს წარმოადგენს და საჭიროა გეშინოდეთ მათიო; ასეთი მოწოდების შემდეგ ბნელ მასსაზე, რა თქმა უნდა, ინტელიგენცია შიშს განიცდიდა. ამ რიგათ ბალშევიკებს ჩამოშორდა უმეტესობა მუშათა კლასისა, გლეხობა, ინტელიგენცია, ფრონტავიკებს ხომ უნდობლობა გამოუცხადეს თავიდანვე; აქ მკითხველი უკვე იგულისხმებს ვინღა დარჩებოდა მათი მომხრენი,—შეუგნებელი ერთი მუჭა მუშათა ნაწილი, და ყველა ის ქუჩის მაწანწალები, რომელთაც ხალხში უკვე ნდობა დაკარგული ჰქონდათ. მენშევიკური და ესერული, როგორც ორგანიზაციები ისე გაზეთებიც ხომ ჩაჰკლეს, ფულით შესძლეს შეიარაღებული ძალის შექმნა და ამ ძალით გამაგრებული არაფერს ზოგენ, ყოველივე ზომებს ხმარობენ ოღონდ საბჭოს ძალა გაამაგრონ; თვითეულ ჯარისკაცს ეძლევა 400—500 მანეთამდე ჯამაგირი, მასთან ჯამაგირს ზევით ორ იმდენს ძარცვაგლეჯით შოულობენ, ჯარი შესდგება უმთავრესად ავსტრიელი ტყვეებისგან, ჩინელებისგან და ყოფილი პოლიციის აგენტებისგან. ტეხნიკური ძალა საკმაო აქვთ, არტილერია შესდგება 50 ბატარეისაგან, 300 ტყვიის-მფრქვეველი, ყუმბარები, 10 ჯავშნიანი მატარებელი. გვარდია ბალშევიკური, რაც შეიძლება ძლიერ ერთგულათ იცავს საბჭოს. ცარიცინის გარშემო დღეს 7 ფრონტია, დათესილი ყანები ზარბაზნებით და ტყვიის-მფრქვეველებით არის მოფენილი, ორი ფრონტიდან ებრძვის ბალშევიკებს კალმიკები, 4 ფრონტიდან ყაზახები და ერთნი, ორჩადის მხრიდან გენ. ალექსეევის ჯარი, ყველა ფრონტზე. არჩადის, ზიმოვნიკის, დუბოვკის, ზემო და ქვემო ჩირის, კატელნიკოვის და ველ.-კნიაჟესკის ფრონტებზე საშინელი ბრძოლა სწარმოებს და უმანკო მუშათა სისხლი იღვრება.

ბალშევიკების მკაცრი მოქმედება და უსამართლოთ ხალხის ხოცვა-ჟლეტა იმდენათ იგრძნო მუშათა კლასმა და გლეხობამ, რომ ნიკოლოზ მე-2 ნატრობში არიან.

მთავრობა შესდგება სულ ხუთი „მოწინავე“ პირებისგან, მინინის მეთაურობით.

ასეთია ჯერ ჯერობით ცარიცინის მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ ბალშევიკების მთავრობა მალე დაეცემა, მხოლოდ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხის ბედი ისევ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლების ხელში დარჩეს.

გ. ესმაშვილი.

# სასურსათო კომიტეტები

თფილისის საგუბერნიო კომიტეტმა მოისმინა რა პირველი ივლისის სხდომაზე მოხსენებები სარაიონო სასურსათო კომიტეტებისა და საგუბერნიო გამგეობისა თავიანთი მოღვაწეობის შესახებ, კრება აღიარებს, რომ 1) აღნიშნულმა კომიტეტებმა შეძლების და გვარათ მცხოვრებთ დიდი დახმარება გაუწიეს: ა) სხვადასხვა სასურსათო აუცილებელი საგნების, ბ) სათესლე მასალის, გ) სამეურნეო იარაღების, დ) ტყავეულობის, ე) ფართლეულობის და სხვა საგნების მიწოდებით. 2) ანაწილებდენ რა საქონელს მცხოვრებთა შორის, თანასწორათ ამით ხელს უწყობდენ კომიტეტები მცხოვრებთა სამართლიანი საჭიროების დაკმაყოფილებას. 3) ამ კომიტეტების მოღვაწეობას უნდა მიეწეროს, რომ მათ შესამჩნევად შეუწყვეს ხელი შიმშილობის თავიდან აცილებას, როგორც ამიერ-კავკასიის ცენტრში,—თფილისში, აგრეთვე ბევრ პროვინციალურ ქალაქებში, რომლებიც სამძიმო მდგომარეობიდან მშვიდობიანათ გამოვიდენ. 5) ამ კომიტეტებმა მოსამსახურეთ რამდენიმეთ გამოცდილება შეიძინეს, რაც აუცილებელი საჭირო იქნება მომავალ საეროზო მუშაობაში. 6) ვუწევთ რა ანგარიშს შექმნილ პირობებს საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების გამო და ვიღებთ რა მხედველობაში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სამოღვაწეო ასპარეზის შევიწროებას და ზოგიერთი სარაიონო კომიტეტების სრულიად დახურვას, ამასთანავე ვიღებთ მხედველობაში საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო მინისტრის ამხანაგის განცხადებას მთავრობის განზრახვების შესახებ სასურსათო საქმის მოწყობის საქმეში, კრებას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია: ა) გააუქმოს ყველა ის სარაიონო კომიტეტები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში კანონიერ კრებებს არ ახდენდნენ და არაფრით თავი არ გამოუჩენიათ; ბ) გაუქმდეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, დარჩეს საგუბერნიო გამგეობა სასურსათო სამინისტროს რწმუნებით მიმდინარე საქმეების გასაძღოლათ და თანდათანობით საგუბერნიო სარაიონო კომიტეტების სალიკვიდაციოთ ამ საქმისთვის კომიტეტის წევრთა შორის არჩეულ სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად. გ) ადგილობრივათ დატოვებულ იქნა ის სარაიონო სასურსათო კომიტეტები სასურსათო სამინისტროს რწმუნებით, რომელთაც თავი ისახელეს მუშაობით. ასეთ კომიტეტებს შეურთდება ის რაიონები, სადაც სარაიონო სასურსათო კომიტეტების მოქმედება გაუქმებული იქნება; დ) სადაც აუცილებელი საჭირო იქნება, საჭირო ოპერაციებს აწარმოებენ კოოპერატივები და საგანგებო რწმუნებულნი; 7) დაევალოს სალიკვიდაციო კომისიას, რომ ყველა კაპიტალები, ქონება და ინვენტარი გაუქმებულ კომიტეტებისა გადაეცეს ადგილობრივ ერობათ, თუ ამის საწინააღმდეგო მთავრობას არაფერი ექნება. ერობები ერთად ერთი კანონიერი და უფლება-მოსილი მემკვიდრეები არიან სასურსათო კომიტეტებისა.

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

# საქ. მეთამბაქოეთა კავშ. წარ. არაჩვეულებრივი ყრილობა

29 ივნისს თფილისში მოხდა მეთამბაქოეთა კავშირების წარმომადგენელთა არაჩვეულებრივი ყრილობა, რომელსაც დაესწრო წარმომადგენლები შემდეგი სარაიონო კავშირებიდან: გურიიდან რაფიელ რამიშვილი, ქიზიყიდან მიხეილ ხატიაშვილი და მაქო სარალიძე, ლაგოდეხიდან გეორგ ხაჩატუროვი და გერონტი ჩიკვაიძე, სოხუმიდან ლავრენტი ესვანჯია და ზუგდიდიდან ტერენტი ცანავა, მთავარი კავშირის ბიუროს წევრები მირიან ბუკია და სილიბისტრო თავართქილაძე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რაფიელ რამიშვილი, მდივნათ გერონტი ჩიკვაიძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) მოხსენებები ადგილებიდან მეთამბაქოეთა მდგომარეობაზე.

2) მოხსენება ბიუროსი მის მოქმედებაზე.

3) თამბაქოს ფასის ხელახალი განხილვა.

4 ჩვენი დამოკიდებულება მთავრობის ეკონომიურ კომისიასთან.

5) ბიუროს ფინანსიური მდგომარეობა.

6) მთავრობასთან შუამდგომლობა სესხის და ბაზრის გამონახვის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ ყრილობამ მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან, გამოირკვა:

1) საქართველოს ტერიტორიაზე გასაყიდად დამზადებულია რვაასი ათასი ფუთი თუთუნი, რომლის დიდი ნაწილი სოხუმის ოლქშია.

2) მეთამბაქოენი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ვინაიდან ყოველივე ოჯახის, საზოგადო და სახელმწიფო გაჭირვებას ისინი ისტუმრებდენ თამბაქოს შემოსავლით და წელს კი საერთო არევ-დარევის წყალობით მყიდველები არსად ჩანან გარდა ადგილობრივი ჩარჩებისა, რომლებიც ცდილობენ ჩალის ფასად ჩაიგდონ თუთუნი ხელში.

მეორე საკითხის შესახებ ბიუროს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავათ ასეთ არევ-დარევისა მას ყოველივე ზომები მიუღია მეთამბაქოეთა შესაკავშირებლად, უძებნია თამბაქოს მყიდველები და უშუამდგომლებია მთავრობასთან მეთამბაქოეთა დახმარების შესახებ. ბიუროს მოქმედებით ყრილობა კმაყოფილი დარჩა. ყრილობამ ისევ ნოემბერში გამომუშავებული ფასები დასტოვა ძალაში, გადაუმატა მხოლოდ 5 პროც. იმ მოსაზრებით, რომ ამ 5 პროცენტით შექმნას მეთუთუნეთა საერთო ფონდი, რომ საშვალება ექნეს კავშირებს მომავალში თითონ შეეძლოს სესხით თუ სხვა რამ სახით დახმარება გაუწიოს მეთამბაქოეთ.

მთავრობის ეკონომიურ კომისიასთან მუდმივ დამოკიდებულების დასამყარებლად ყრილობამ აირჩია კომისია, რომელშიაც შედის მირიან ბუკია, სილ. თავართქილაძე და დ. კალანდაძე.

მეხუთე საკითხის შესახებ გამოირკვა, რომ ბიურო არსებობს მხოლოდ ნასესხი ფულით. ამიტომ ყრილობამ დაადგინა: გურიისათვის სესხად გადადებულ ნახევარ მილიონიდან 2 პროც. დარჩეს ბიუროს განკარგულებაში. ასევე ბიუროს განკარგულებაში დარჩეს 2 პროც. იმ სესხიდან, რომელიც კახელებს მიეცემათ.

მეექვსე საკითხის გამო ყრილობამ, მიიღო რა მხედველობაში მეთამბაქოეთა უკიდურესი გაჭირვება, დაადგინა: იშუამდგომლოს მთავრობასთან, რათა მან სამი მილიონი მანეთი მისცეს სესხად მეთუთუნეთ, რაც შეიძლება საჩქაროთ, აგრეთვე სთხოვოს მთავრობას დაგვეხმაროს ბაზრის გამონახვაში. ამ მიზნის განსახორციელებლად ყრილობამ ბიუროს დაავალა მთავრობასთან შუამდგომლობა ყრილობის სახელით.

X.

# სააღ.-მამულო რეფორმა

**სავთრიდიის** რაიონის მიწების ჩამომრთმევი კომისია 14 მაისიდან შეუდგა მუშაობას. ამ კომისიაში შედიან: ბ. გელაშვილი საგუბერნიოდან; მ. პატარიძე სამაზროდან; და ხ. [illegible] კომისარიატიდან. კომისიამ მუშაობა დაიწყო ისეთ კუთხიდან, [illegible] და ყველაზე. [illegible] ასეთი იყო სოფ. [illegible] ჩამოსასვლელი ადგილები ა. ნაკაშიძის, ჯანელიძე-ქეიშვილის, საბანკო და სხვა. ამ სოფელში და მის ახლო მახლო პირველ ივნისამდე კომისიამ ჩამოართვა სულ 965 დეს. და 524 კვ. საჟ. ამ მემამულეთაგანი არც ერთი თანახმა არ არიან და აქტზე ხელი არ მოაწერეს. ს. ქეიშვილი კიდევაც იმუქრება იმ იმედით, რომ მალე თათრები ან გერმანელები მოვლენ და მამულებს დაუბრუნებენ. ამ სოფლიდან კომისია გადავიდა დიდ ჯიხაიშში. ამ სოფელში მსხვილი მემამულეები არ არის და კომისია უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ამისათვის მოიწვია ადგილობრივი საადგილ-მამულო კომისიის წევრები მემამულეებთან ერთად. ჯერ გამოარკვიეს ვის რამდენი მიწა აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხარჯ ამკრეფი ინსპექტორის სიასთან დღევანდელი მიწების მდგომარეობა ძლიერ შეცვლილია. ასე რომ, წვრილ მემამულეებში ამ სიით ხელმძღვანელობა მხოლოთ ხელს უშლის კომისიას და ახალი სია უნდა ადგინონ.

ამ კრებაზე ზოგი მოითხოვდა პირწმიდათ ჩამოერთვას ყველას ნორმაზე დაუყენოთო. ზოგნიც კი სხვადასხვა მოსაზრებებით ამბობდენ, რომ ამ მამულებიდან აირჩეს ცოტათ თუ ბევრათ მომსხვილო და უწინ ასეთებს ჩამოერთვას და უფრო წვრილები კი სამერმისოთ გადავდვათო. ამ კითხვის გადაჭრას მთელი სამი დღე მოანდომეს და ბოლოს დაადგენ იმ აზრს, რომ ჩამოერთვას მხოლოდ მომსხვილოს, წვრილები ჯერ ჯერობით დარჩეს. დიდ ჯიხაიშიდან კომისია გაემგზავრა სოფ. კულაშში. აქაც წვრილი მემამულეები არიან, მხოლოდ აქაური მემამულეები მეტს წინააღმდეგობას იჩენენ. ცნობების მოწოდებას აძნელებენ, კომისიასთან არ ცხადდებიან, და თუ მობრძანდა, კანონს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ და მის უვარგისობას ამტკიცებენ.

ასეთაც კი გამოსთქვამენ: სანამ თქვენ ხელში ვართ, შეგიძლიათ გვეწვნოთ და გვაწამოთ, წინააღმდეგობას არ გაგიწევთ, მაგრამ ეგები მოგვიბრუნდეს დრო და მაშინ ჩვენ ვიცითო. ამ რეფორმას ხალხის დიდი უმრავლესობა იმედის თვალით უყურებს და ენერგიულ დახმარებას უწევს კომისიას, განსაკუთრებით იანეთში, დიდი ჯიხაიშში და უფრო მეტად კულაშში, მხოლოდ ფარცხანაყანევის ხალხი კი არ ვიცი რომელ ეპოქის ხალხს მიეაწერო. მამულების ჩამორთმევის დროს გამოცხადდენ და უცებ გაიპარენ არ მოგვეხმარენ შეგვპირდენ ამა და ამ დღეს კაცებს გამოგიგზავნით, ყოველივე ცნობებს მოგაწვდითო და არ აასრულეს. როგორც ეტყობა, აქ უფრო ადრე იკიდებს ფეხს პროვოკაცია, ვიდრე სხვა სოფლებში, რადგან განათლებით ძლიერ ჩამორჩენილი ყოფილა. საზოგადოთ ასეთი პროვოკაციაა გავრცელებული: 1. ეს ჩამორთმეული მიწები სახაზინოთ გადადის, სახელმწიფო წაიღებს და ჩვენთვის მაინც არ იქნება სასარგებლოო; 2. კომიტეტები ქცევას 150 მანეთათ აქირავებენო და ეს როგორ შემიძლია და ამდენ კომიტეტებს აბა ჯამაგირი არ უნდაო; 3. კომიტეტები ერთ ქცევის მეტს არ მომცემენ და მემამულესთან კი შემეძლო რამდენიც მინდოდა ამეღო და როგორათაც მინდოდა ისე გავრიგებოდი; 4. მე მიწა სამოსახლოთ მინდა და კომიტეტები ამას არ მომცემენ. და მრავალი სხვა. ამ შემთხვევაში კომისიას დიდი მოვალეობა აწევს, რომ ხალხი ბურუსიდან გამოიყვანოს და საუბრების სახით საჭიროა ყველა ამ კითხვებზე სწორი და გარკვეული პასუხი მისცეს. დღემდე, 29 ივნისამდე, სულ ჩამოერთვა 1149 დეს. და 830 კვ. საჟ.

დიდ ჯიხაიშში არის ნ. ნიკოლაძის მამული და კულაშში ვ. მიქელაძის. ამ უკანასკნელის მამულში არის საცდელი მინდორი. ამ მამულებს რაიონის კომისია ვერ მიიღებს, რადგანაც შეადგენენ განსაკუთრებულ სახალხო ღირებულებას. ამისათვის საჭიროა საჩქაროთ დაინიშნოს განსაკუთრებული კომისია ამ მამულების მისაღებათ, რადგანაც ხალხში დიდი მითქმა-მოთქმაა „რისთვის არ ართმევენ მათ მამულებსო“. ვ. მიქელაძეს მაინც ჩამოერთვას ის ზედმეტი, რაც განსაკ. სახალხო ღირებულებისა არ არისო.

მიშა.

# ს.-დემ. პარტიაში

**ქ. სამტრედია.** 30 ივნისს რკინის გზის საკრებულო დარბაზში ს. დ. კომიტეტის მიერ მოწვეული იყვნენ პარტიის წევრები. მიზანი მოწვევისა იყო გ. ვ. პლეხანოვის მოსაგონებლათ სამოქალაქო პანაშვიდის გადახდა. პანაშვიდს დაესწრო გარეშე პირებიც. პანაშვიდზე უკრავდა რკ. გზ. დეპოს მუშების ორკესტრი სამგლოვიარო მარშს, აგრეთვე ცოცხლებით გალობდა ამხ. ი. თოდუას ლოტბარობით მომღერალთა გუნდი. გ. პლე-

ხანისვის სურათი მორთული იყო ცოცხალი ყვავილებისაგან შემკულ გვირგვინით, შავ სამგლოვიარო ჩარჩოში. მეტად გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. დუნდუამ, მან გაარჩია დაწვრილებით პლეხანოვის პიროვნება, აუხსნა მისი შეუდარებელი და ყოველმხრივ დაუფასებელი შრომა მუშათა კლასისათვის. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი მამათმთავრის მოღვაწეობა და მისი მნიშვნელობა საერთო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის ისტორიაში, და კერძოთ კი რუსეთის ს.-დ. პარტიის ზრდა განვითარების საქმეში. სიტყვამ შესაფერი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

ს. დ. კოლექტივს განზრახვა აქვს ახლო ხანში გამართოს გ. პლეხანოვის პატივის ცემის აღსანიშნავათ დილა ან საღამო ვრცელი პროგრამით. შემოსავლის ნაწილი გადაიდება სოც.-დემოკრ. კლუბის სასარგებლოთ.

ლევანიძე.

## მუშათა შორის

**აჩირებული ჩვეულება.** რევოლუციის მსვლელობაში ტ მუშ. საკითხის მოგვარებაში ერთი უპირველესი ადგილი უკავია თფ. ცენტრალურ მომრიგებელ კამერას. დღიდან ამ მუშათა დაწესებულებას არსებობისა, მრავალი კონფლიქტი (მუშასა და „ხაზეინის“ შორის უთანხმოება) შემოდის გასარჩევათ.

სამწუხაროთ ვრაცხ ვალდებულათ, რომ მუშები ჯერ კიდევ არ არიან გაცნობილი მომრიგებელ კამერის დანიშნულებას და როდესაც „ხაზეინები“ ითხოვენ მუშებს, საქმის შემცირებისთვის ან სრულიად წარმოების შეჩერებისთვის, მუშები სხვა სამუშევარზე არ მუშაობენ მანამდე, სანამ არ გაირჩევა მათი კონფლიქტი კამერაში.

და როდესაც კამერა გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას, რომლითაც დამქირავებელი ვალდებულია მუშას მისცეს სალიკვიდაციო და დიდი ხნის ნამუშევრობის მიხედვით ფული, ამ დროს, მუშას ახირებული საჩივარი მ^ათ აქვს: და კამერის თავმჯდომარე რომ წაიკითხავს გადაწყვეტილებას, მუშა გაკვირვებით კითხულობს: ორი თვე ცუდათ რომ ვიარე, ამის ფულს ვინ მომცემს?! სამწუხაროთ მუშებს ჰგონიათ, რომ სანამდე მისი საქმე კამერაში არ გაირჩევა თუმცა ორი წელი დააგვიანდეს, ივლიან უმუშევრათ და ხაზეინისგან ჯამაგირს მიიღებენ. აი, აქ არის დიდი შეცდომა. ერთ ადგილას უმიზეზოთ დათხოვნილი მუშა, თუ იშოვება სამუშაო, უნდა შეუდგეს მუშაობას. ამით მისი გადაცემული საქმე კამერაში არაფრით არ შეფერხდება. მუშებს ჰგონიათ კიდევ, რომ თუ მათი საქმე კამერაშია და ისინი სხვა ადგილას მუშაობენ, კამერა არაფერს მიუსჯის მათ; ესეც შემცდარი აზრია. ამ შემთხვევაში კავშირის გამგეობებიც შედიან შეცდომაში. მაგალითად, ტყავეულობაზე მომუშავეთა პრ. კავშირის წევრებმა განაცხადეს, მათი საქმე რომ ირჩეოდა 3 ივლისს, კავშირის გამგეობაში გვითხრეს, რომ სანამ თქვენი საქმე არ გაირჩევა კამერაში, სხვაგან არ იმუშაოთ. ეს შეუწყნარებელი შეცდომა არის, რასაც არ უნდა ჰქონდეს ალაგი პროფ. კავშირის გამგეობის წევრთა შორის მაინც.

ცენტრ. მომრ. კამერის წევრი
ვიქტორ კობახიძე.

## მილიციონერთა შორის

2 ივლისს 1918 წ. ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით შესდგა სამილიციო პროფესიონალური კავშირის გამგეობის სხდომა. დღიურ წესრიგში იყო კითხვები: 1) კომისრის მოხსენება. 2) ამხ. სანაიას განცხადება. 3) ამხ. ყანჩაველის განცხადება 4) ამხ. გერსამიას მოხსენება 5) საბურთალოს უბნის მილიციონერთა საერთო კრების ოქმი. 6) ამხ. მახარაძის განცხადება. 7) სისხლის სამართლის მილიციის მილიციონერთა საერთო კრების ოქმი და სხვ. თხოვნები და განცხადებები. ამხ. გერსამიას წინადადებით სხდომამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ვერაგულად მოკლულს ამხ. კუკულავას ხსოვნას.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომისიის თავმჯდომარე ამხ. წუწაიშვილი. კომისიამ გამოარკვია რომ მე-XI-ტე უბნის კომისარს თურმე უმიზეზოთ დაუთხოვია სამსახურიდან სამი უმცროსი მილიციონერი ჩიქვაიძე, კუტალაძე და კელეხსაშვილი. ამიტომ გამგეობამ დაადგინა ძლიერ შუამდგომლობა მილიციის უფროსის წინაშე რათა ზემოაღნიშნული მილიციონერები დატოვებული იქნენ თავიანთ თანამდებობაზე. კომისიამ გამოარკვია აგრეთვე XI უბნის უფროსი მილიციონერი აკაკი კეკელიძის დანაშაული კომისარიატში დატყვევებულ ქალთან პირად მოქმედებაში. გამგეობამ დადგინა ეთხოვოს მილიციის უფროსს, რათა ზემო აღნიშნული აკაკი კეკელიძე სასწრაფოთ დათხოვილ იქნას სამსახურიდან დ. მომავალში არ მიუღოთ მას მილიციაში სამსახურს. მეორე საკითხის შესახებ, მოისმინა რა განცხადება ამხ. სანაიას, რომელიც ურჩევდა კომისარს, რომ ის დაითხოვა უმიზეზოთ, გამგეობამ აირჩია კომისიაში ამხ. გერსამია, ლომიძე და დემეტრაშვილი და დაავალა იმათ გამოძიება ამ საქმის. ამხ. ყანჩაველის განცხადების შესახებ გამგეობამ დაადგინა საქმე გადასცეს საგამომძიებლო კომისიას. ამის შემდეგ ამხ. გერსამია აკეთებს თავის მოხსენებას ვერაგულად მოკლულ სისხლის სამართლის უფროს მილიციონერ ანგი კუკულავას სოფ. ახალშენში დასაფლავების შესახებ. სხვა კითხვები სიგვიანის გამო გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

X.

## პროვინცია

**თიანეთის მაზრაში.** 20 ივნისს გავემგზავრეთ თიანეთისაკენ. ს. ახმეტიდან 12 ვერსის მანძილზე შევხვდით მაზუთის წყაროებს. მე დიდათ დამაინტერესა ამ გარემოებამ და დავათვალიერე ეს ადგილები. როგორც გადმოგვცეს, აქ ინგლისელებს მოუნდომებიათ წარმოების გაჩაღება, მაგრამ ომის გამოცხადებას შეუშლია ხელი მათთვის. ამ ადგილს ეწოდება ილდაგანი, მას გვერდით ჩაუვლის იყთიბეგე, რომ შეიძლება მაზუთი ლარებით გაიყვანონ კაცმა საურმე გზამდე. ბევრი შენობები ყოფილა აქ მუშებისათვის გაშენებული; მაგრამ ეს შენობები ზოგი უკვე დაუნგრევიათ, ზოგსაც ახლა ანგრევენ. საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ ადგილებს...

შუადღის სამ საათზე მივედით თიანეთში. აქ სამწუხარო ამბები გავიგეთ დუშეთის შესახებ. ჩვენ გადავსწყვიტეთ გაგვეგო სინამდვილე. ამიტომ მაზრის კომისარმა ო. ლაცაბიძემ წაიყვანა 21 შეიარაღებული ცხენოსანი მილიციონერი და წავიდა დუშეთისაკენ. მე მთხოვეს წავსულიყავი ერწოს რაიონში, საიდანაც შეიარაღებული ამხანაგები მოითხოვდენ რამე განკარგულებას. მაზრის კომისარმა მისწერა მათ, ჩემი დაუკითხავათ არც ერთი ჯარისკაცი არ წავიდეს დუშეთისაკენ, თორემ სასტიკათ დაისჯებითო. მე გამაყოლეს ერთი მილიციონერი და მითხრეს—ერწოში უფრო შეგნებული ხალხი სცხოვრობს და მეც თამამათ გავუდექი გზას. ღამის 1 საათზე მივედით სოფელ სიმონაანთ ხევში, რომელიც თიონეთზე 20—25 ვერსით იქნება დაშორებული. აქ ცხოვრობს სუდრანის საზოგადოების კომისარი ლექსო ბიჩინაშვილი. ღამე გავათენე იქვე პოსტზე... დილას მოვიდა კომისარი. მას გავაცანით მისვლის მიზანი. მასთან იყო ხუთი შეიარაღებული კაცი, მათ შორის რაზმის უფროსი შაქრო გელოვანი.

— რამდენი კაცისაგან შედგება თქვენი რაზმი?—შევეკითხე გელოვანს.

— სამოცი კაცისაგან—მიპასუხა მან.

ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მათ დასწერეს მოწერილობები სხვადასხვა სოფლებში გასაგზავნათ და შემპირდენ, რომ დღეს, ე. ი. 21 ივნისს საღამოს კრებას მოვიწვევთო. ჩაის სმის დროს იქვე ერთმა ახალგაზრდამ რევოლვერი ამომაცალა ჯიბიდან, ამის შემდეგ მე მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძენი თავი და მალე გამოვეშვიდობე სტუმართმოყვარე „მასპინძელს“. თვითონ კომისარი და გელოვანი სადღაც წავიდენ.

მე მივედი სოფლის სამმართველოს ეზოში. ჩემს გარშემო თავს იყრის ხალხი, ისმის ხმები: „გვარდიელების ჯაშუშია“, „თავადების მოსყიდული შპიონია“ და სხ. მე ვლაპარაკობ ხალხში და კერძო შეკითხვებზე ვიძლევით პასუხს. ამ დროს ჩემთან მოვიდენ გელოვანი და კომისარი და მითხრეს: უჩვენოთ თქვენ ვერსად წახვალთ. ახლა ჩვენ მივდივართ დუშეთისაკენ და საღამოს ან ხვალ დავბრუნდებით და გაგიშვებთო. „რა გაეწყობოდა, მეც დავთანხმდი, მხოლოდ ვსთხოვე კრება გაემართათ. ისინი დამპირდენ ჩემი თხოვნის შესრულებას და გამშორდენ.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან მოვიდა შეიარაღებული კაცი და მითხრა, თქვენ ვერსად ვერ წახვალთ. მე არსად არ მივდივარ თქო, ვუპასუხე და ჩამოვჯექი იქვე.

კრება საღამოსთვის იყო დანიშნული. როცა ხალხი შეგროვდა, მოვიდა ერთი საშუალო ხნის ქალი, მიუთითა ჩემზე და სთქვა უნდა მოვკლათ, ეს იმერელი იქნება მილალატეო. ამ დროს მოდიან დუშეთიდან მოსული მოხუცებულები და ხმამაღლა ყვირიან: „ხალხო! ჩვენი ცოლშვილი არაგვში ჰყრია დახოცილი—მოვიდა თავადების მოყიდული, გვარდია გურულების, მეგრელების და იმერლებისაგან შემდგარი და თუ არ მოგვეშველეთ—ხვალ თქვენც ჩვენს დღეში ჩავარდებითო“.

ამ სიტყვებმა ძალზე აღელვა ხალხი. მე ვეუბნები მათ გვარდიის მნიშვნელობა და ვუხსნი ნუ აჰყვებით პროვოკატორულ ხმებს, ეს კაცები შეშინებული არიან და რას ამბობენ თვითონაც არ იციანთქო. დიდი უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა ამ განმარტებით, მაგრამ 5—7 მთვრალი პირი, რომლებიც ნამდვილ იუდას მოგვაგონებდენ იძახოდენ, ამ ხანჯლის წვერებზე უნდა დაგჩხვლიტოთ თქვენო. ამ დროს განმავლობაში ეზოში მოგროვდა 300—400-მდე კაცი. ცოტა ხნის შემდეგ დავინახეთ ჩვენზე ნახევარი ვერსით მოშორებული ადამიანი, რომელიც ხმამაღლა ყვიროდა, ღმერთო გაუმარჯვე საქართველოს და მშრომელ ხალხს, სიკვდილი თავადებს და მათ მიერ მოყიდულ წითელ გვარდიელებს და ჯაშუშებსო. ყვირის ამ სიტყვებს ხმამაღლა და თანდათან გვიახლოვდება. მოვიდა ახლოს და დაიყვირა, სად არის ის, ჩვენი დამღუპველი იმერელი, წუხელის რომ მოსულაო. ხალხი თანდათან გამშორდა და მე დავრჩი მარტო.

მოსულმა კვლავ გაიმეორა თავის სიტყვები, შემდეგ აღაპყრო მაღლა ხელები, გადაისახა პირჯვარი და მიმართა ხალხ: „ხალხო! დამიგდეთ ყური რას მეუბნება ღმერთი. არც თათარი გვებრძვის, არც გერმანია გვებრძვის, არც რუსები გვებრძვის, გვებრძვის მხოლოდ წითელი გვარდია, გვებრძვის მხოლოდ წითელი გვარდია, გვებრძვის მხოლოდ წითელი გვარდია, თავად აზნაურების მიერ მოსყიდული და იმათი ჯაშუშია ეს მიუთითებს ჩემზე და უნდა მოვკლათ, ხალხო, გესმით?... უნდა მოვკლათ ხალხო, გესმით?! კარგათ გაიგონე ეს, ხალხო, კარგათ!!! ამის შემდეგ დაიწერს კიდევ პირჯვარს ხალხსაც დააწერინებს შემოუვლის რკალს და კიდევ გაიმეორებს ხსენებულ სიტყვებს.

თავად-აზნაურობის ჯაშუშია ეს იმერელი—იძახის იგი—მიაკარით ჩქარა ბოძზე!..

ხალხი შესწუხდა, ისმის ქვითინი. ხელს არავინ გვკიდებს... ვფრთხილებ ყველას გიჟს არ დაუჯერონ. მაგრამ მოსული დაჟინებით იმეორებს, მიაკარით ბოძზეო.

მოვიდა ჩემთან ორი ახალგაზდა და დამიწყეს ბოძზე მიკვრა.

როგორც იქნა მომცეს სიტყვის ნება. სიტყვის შემდეგ ბევრმა ქვითინი დაიწყო, დაჟინებით მოითხოვეს ჩემი განთავისუფლება და მეც ჩამომხსნეს ბოძიდან... ამის შემდეგ მომაწოდეს რძე, კვერცხი და სხვადასხვა საჭმელები, მაგრამ ვერაფრის ჭამა ვერ მოვახერხე.

საღამოს 7 საათზე მოვიდა მილიციონერებით მაზრის კომისარი ოქრო ლაცაბიძე. მან სიტყვით მიმართა ხალხს. ხალხი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ თითო-ოროლა ნაძირალები აქაც აღმოჩნდენ და უყვირიან ორატორს, შენც მოსყიდული ხარ თავადების მიერ, შენც მოსაკლავი ხარო. ამ ვაჟბატონებს ლაცაბიძის მოთხოვნით კრებიდან აძევებენ. შემდეგ ლაპარაკობს ვ. ტუქსიშვილი. იმასაც უყვირიან, შენ მაინც კი გიცნობთ, ფშაველი ხარ თავადების მიერ მოსყიდულიო.

მე უამბე ამხანაგებს ჩემი თავ-გადასავალი. ისინი შეეკითხენ ხალხს, ნუ თუ მართლა ბოძზე გააკარით ეს ადამიანიო. კი, ბატონო, მართლა გააკრეს ბოძზე მაგ ეხლეებმა—იგრიალა ხალხმა. ამ სოფელში ჩვენი დარჩენა შეუძლებელი იყო და ჩვენც წამოვედით. ჩემი ცხენი აღრევე მიითვისა ბ. გელოვანმა.

ჩავედით თიანეთში. 22 [illegible] მოვიწვიეთ კრება, გავაცანით დამსწრე[illegible] საქმის ვითარება და მოუწოდეთ სოლიდარულ მუშაობისაკენ.

ყველამ შეფიცა ერთმანეთს, პირად ინტერესს დავივიწყებთ და ხელიხელ ჩაკიდებული დავიცავთ წეს რიგსო ამ დროს ხმა გავრცელდა, ზემო თიანეთიდან მიდიან თიანეთ ს კომისარიატის დასარბევათო.

მოემზადენ თავდამსხმელების შესახვედრათ. მე ერთი მილიციონერის თანხლებით წამოვედი ს. ახმეტაში, რომ ეს ამბავი მეცნობებია იქ მდგომ რაზმისათვის

გზაში დაგვეწია ერთი მილიციონერი და გვითხრა, ზემო თიანელები გაბრუნდენ უკანო.

საღამოს რვა საათზე ჩამოვედით ახმეტაში. იქ ვინახულე რაზმი, რაიონის კომისარი ნ. წიკლაური. გავაცანი მათ მდგომარეობა.

ღამის ათ საათზე რაზმი წავიდა თიანეთისაკენ. მე თელავისკენ წამოვედი, რომ თფილისში დროზე მეცნობებია ყოველივე.

მეც სადაც ჯერ იყო გავაკეთე მოხსენება და ვითხოვე შესაფერი ზომების მიღება...

საჭიროთ მიგვაჩნია აქვე უცვლელათ მოვიყვანოთ ერთი დოკუმენტი, რომ ისტორიას არ დაეკარგოს ახლათ მოვლენილ ბალშევიკების მოღვაწეობის ნიმუში.

„სოფელ თიანეთში 1918 წ. თიბათვის 8 დღესა. ამხანაგნო თიანეთში გეგზავნით ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს ლექსო ფილაურს ღ ვანო პირმისაშვილს კიდევ პეტრე ლაგაზაშვილს ყველას ამორჩეულ კაცებიდან დაუყონებლივ ყველაა რომ მოგვეხმარენი ძალიან გვეჭირს საქმე თხოვთ თლათ თიანეთის საზოგადოებას შეატყობინევით ყველას და მოგვეხმარენით თუ ჩვენი ამხანაგობა გწურთ.

ახალი მთავრობის კომიტეტი.

Душетскiй уѣздный Комисаръ გაბო ძწიოური“.

ი. ყაჭიეშვილი.

**სოფ. კულაში.** ასეა ყოველთვის: როდესაც მშრომელი ხალხი, დემოკრატია განსაცდელში ვარდება, სისხლისაგან იცლება და მისი ძლევამოსილი მოძრაობა დროებით ფერხდება, როდესაც რეაქცია წამოჰყოფს თავს და აშკარა ბრძოლას გაუმართავს რევოლიუციას—მაშინ საზოგადოების ნაძირალები, ხალხის მტრები, ყველა ჯურის ბნელი ძალებიც სოროებიდან გამოძვრებიან და მშრომელ ხალხს ზურგიდან მუხანათურათ მახვილის ჩაცემას დაუწყებენ.

ამ ბოლო დროს ს. კულაშიც ამოძრავდენ ავაზაკები, ყოფილი პოლიციელები და მოსვენებას არ აძლევენ ხალხს. ეს ვაჟბატონები წინათ ბალშევიკების ორგანიზაციის წევრებათ ითვლებოდენ. ახლა, როცა ბალშევიკების ორგანიზაცია დაიშალა, მათ ნიღაბი ჩამოიხადეს და დაიწყეს ხალხის საწინააღმდეგოთ აშკარა მოქმედება. ვინ იცის, რა საზიზღარ საშუალებებს არ მიმართავენ ეს ნაძირალები, რომ მყუდრო ცხოვრებაში არევ-დარევა და უწესოება შეიტანონ და ამით ისარგებლონ თავის ბნელი საქმეების მოსაგვარებლათ. და თუ ვინმემ ამოიღო ხმა მათ წინააღმდეგ, ვაი მისი ბრალი. თვით ადგილობრივი ადმინისტრაციაც კი მათ ტერორის ქვეშ იმყოფება. სიკვდილის შიშით ვერავინ ვერ ბედავს მათ წინააღმდეგ გადაჭრილი ზომების მიღებას. და ყაჩაღებიც თავისუფლად დათარეშობენ. თავდასხმა, ძარცვა-გლეჯა, სხვისი შეურაცყოფა, ცოცხალ ადამიანების გატაცება—ეს ჩვეულებრივ მოვლენათაა გადაქცეული. ამას წინათ სოფ. ჯიხაიშში გაიტაცეს ვაშაკიძის ქალი და რამდენიმე დღეების განმავლობაში ტყე ღრეში ფეხშეველა ათრიეს, შეუბრალებლათ აწამეს.

ერთი სიტყვით, ეს ვაჟბატონები ნამდვილ დამსჯელათ მოევლინენ ხალხს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი გამოსვლა და სიხარული ნაადრევია. ხალხი არც ისე დაცემულა, რომ პასუხი არ მოსთხოვოს თავის მტრებს და დეე, იცოდენ ნაძირალებმა, ყველა ჯურის ბნელმა ძალებმა, რომ მრისხანე იქნება მათ წინააღმდეგ მიმართული დემოკრატიის გულისწყრომა.

კულაშელი

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე-131 ნომერში მოთავსებულია წერილი, რომელითაც ავტორის სიტყვით საბურთალოს აღმასრულებელი კომიტეტი უდანაშაულოთ ბრალსა მდებს ვითომდა მე, როგორც გამოჩენილი კონტრ-რევოლიუციონური შეურაცყოფას ვაყენებდე საბურთალოს კომიტეტის წევრებს, გარდა ამისა, ვითომ მე კინაღამ არ ვიმსხვერპლე კომიტეტის წევრები მახვილაძე და ბაგანაშვილი, რის გამოც კომიტეტი, როგორც გაზეთში მოთავსებულ წერილის შინაარსიდან სჩანს, მიცხადებს ზიზღს და აღშფოთებას; ამასთანავე კრება ადგენს ეთხოვოს თფილისის მუშათა და ჯარის კაცთა აღმასრულებელ საბჭოს, რათა მან მიიღოს ჩემს წინაშე უსასტიკესი ზომები. მოვახსენებთ შემდეგს: თამამად ვიტყვი, რომ მე არც ვყოფილვარ, არცა ვარ და არც ოდესმე ვიქნები კონტრ-რევოლიუციონერი. ამას ნათლად დაამტკიცებს შემდეგში გამოძიება. დღეს 28 წლისა ვსრულდები და არავითარ პასუხისგებაში არა ვყოფილვარ მიცემული. 20 წლიდან ერთავათ ჯარის კაცათ ვარ. აქაც დანაშაულობა არაფერში არ მიმიძღვის—პირიქით, ხშირათ ბრძოლაში გამოვჩენილვარ, მიმიღია გიორგის ჯვრები და მენდლები და სხვა საჩუქრები. ამას დაამტკიცებენ ბევრი ჩემი ამხანაგები და ჯარის უფროსები. დღეს კიდევ ერთგულათ ვემსახურები საგუბერნიო კომისარიატში, სადაც ჩემ მიმართულებას და ავ კარგიანობას დასურათებს თვით გუბერნიის კომისარიც და სხვებიც. გარდა ამისა, მე ბინადრობით ვცხოვრობ საბურთალოში და მიცნობს ბევრი, როგორც არა მავნე პირს. ამიტომ გავიმეორებ კიდევ, რომ მე არამც თუ კონტრ-რევოლიუციონერობას არ ვეწევი, არამედ დიდი წინააღმდეგიცა ვარ ესეთ საზიზღარ ქცევა-ყოფისა. რაც შეეხება კიდევ იმას, რომ მე ვითომ კინაღამ არ ვიმსხვერპლე კომიტეტის წევრები, მახვილაძე და ბაგანაშვილი, დაგარწმუნებთ, რომ ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. ბაგანაშვილთან მე არაფერი შეხება და გაჯიბრებული ლაპარაკი არა მქონია არასდეს, მახვილაძესთან კი მართალია სიტყვიერი უბრალო დავა მოგვივიდა, მისივე მხრით გამოწვეულ კერძო ინტერესების გამო, თუმცა არავითარი კონტრ-რევოლიუციონური აზრები არა ყოფილა წარმოთქმული ჩემის ან ვისიმეს მხრით, თუნდა, როგორც სჩანს გაზეთიდან, კომიტეტის წევრებმა შური იძიეს და უსაბუთოთ ჩირქს მცხებენ. მე კი ვიტყვი, რომ ესეთ პირებს, მით უმეტეს ამ ხანაში არ უნდა ჰქონდეთ ადგილი არსად, რადგან იგინი პირიქით ავრცელებენ ჭორებს აძულებენ ერთი მეორეს. ამიტომ მე დღეიდან ვითომდა, როგორც ნდობა დაკარგული, ვანებებ სამსახურს თავს იმ დრომდე, სანამ არ მომშორდება ძალით წამოკიდებული ჭუჭყი. რა განვაცხადებ ამაზე ვსთხოვს საბჭოს საჭირო ყურადღება მიაქციოს ამ თხოვნას და გამოძიებით აღმოაჩინოს სიმართლე, ამასთანავე ვთხოვ საბჭოს შეეკითხოს ჩემზე გუბერნიის კომისარიატს. მასთანავე, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელი მინდა გავიგო არსებობს საბურთალოში აღმასრულებელი კომიტეტი თუ არა, რადგან როგორც მესმის, ბევრ საბურთალოელებს მეზობლებისაგან ამ კომიტეტის არჩევნების დროს მეტად მცირე ნაწილი დასწრებია და ისიც ბევრი მოსული თათრები საბურთალოზე ცხოვრობს, ორი ათასზე მეტი კაცამდე. საჭიროა სრული ადგილობრივი კრება მოხდეს სიმართლის დასამყარებლად?

ლავრენტი ნათენაძე იგივე აბანათაშვილი

## ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს ფულის ფონდისათვის: კოლ. ასეს. ქაიხოსრო გიორგისძე ჯავახიშვილმა: სტანისლავა მეორე ხარ. 1, სტან. მესამე ხარ. 1 და ანნა მესამე ხარ. 1, სულ სამი ორდენი და ერთი ბრინჯაოს მედალი; დიმიტრი მიხეილისძე ბახტაძემ გამოგზავნა ქ. ქუთაისში მისი ქალის მიერ ნაცნობთა შორის შეგროვილი: 1) 12 ქართული ძველი ვერცხლის ფული—„ქართულ-თეთრი“; 2) 3 რუსული ვერცხლის მანეთი 3) 24 ვერცხლის მედლები, 4) 4 პატარა ვერცხლის სათითური, 5) სამი ვერცხლის საუნივერსიტეტო ნიშნები, 6) 6 ვერცხლის გიორგის ჯვარი 7) პატარა ვერცხლის ჩანგალი, 8) სამი ვერცხლის პატარა ნატეხები, 9) 50 ვერცხლის პატარა სანათლავი ჯვარი, სულ ვერცხლი წონით 1 გირ. და 48 მისხ. ღ სამი ორდენი ვლადიმერი, ანნა და სტანისლავა, ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორი ბ. უზნაძისაგან მივიღეთ: ერთი ძველებური რუსული ოქროს ფული; გრიგოლ ტიმოთესძე გიორგაძემ: ორი ვერცხლის ფიცარი, წონით სამი და ერთი მეოთხ.; პოლკოვნიკმა კონსტანტინე კაკაბაძემ: ანნა მეორე ხარ. 1, ანნა მესამე ხარ. 1 და ვლადიმერი მეოთხე ხარ. ერთი; პოლკ. მ. ა. დუმბაძემ: ანნა მეორე ხარ- 2 და სტანისლავა მეორე ხარ. 1, სულ 3; ილია გლახუნისძე ვადაჭკორიამ ერთი ვერცხლის „წითელი ჯვრის“ ნიშანი; არჩილ, გიორგი და ლეო ივანესძე ზურაბიშვილებისაგან ვერცხლის სხვადასხვა საგნები წონით 1 გირ. და 18 მისხ. რუს ვერც. ფული 9 მ. ღ ოქრო ნახ. მ. ონიფანტე ვასილის ძე გამზარდიამ ანნა მესამე 1, სტანისლავა მესამე 1 და ვერცხლის ფული 4 მ. და 80 კ; გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძემ ანნა მესამე 1, სტანისლავა მესამე 1 და ერთი ბრინჯაოს მედალი; ქეთევან ილიას ასულმა შანშიაშვილმა რუსული ვერცხლის ფული ხუთი (5) მან. და ერთი მედალი; მარია ალექსანდრეს ასულმა ჯავრიშვილმა ორი ვერცხლის საიუბილეო ნიშნები; კოლ. სოვ. ალექსანდრე ლევანის ძე თულაშვილმა ანნა მესამე 1, ანნა მეორე 1, ვლადიმერი მეოთხე 1, სტანისლავა მესამე 1 და ორი უბრალო მედალი; კოტე და ვანო გრიგოლის ძე ერისთავებმა სტანისლავა მესამე 1, ორი ვერცხლის მედალი, ერთი თათრული ვერცხლის ლირა, ერთი ვერცხლის იუბილეის ნიშანი, ერთი ჯარისკაცის გიორგის ჯვარი ვერცხლისა, ერთი თათრული პატარა ვერცხლის ფული, ერთი პატარა ვერცხლის ფიცარი, ვერცხლის ნაჭერი ფოთოლი, სამი უბრალო მედალი, ერთი თუჯის ნახევარ კაპეიკიანი და ერთი ფინური სპილენძის ფული; პოდპ. ანტონ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილმა სტანისლავა მეორე 1; ეკატერინე გაბაშვილისამ სტანისლავა მეორე 1, ვლადიმერი მეოთხე 1, ორი მედალი და ერთი ვერცხლის ხელმოსაკიდი; ექიმმა ნიკო ერისთავმა სტანისლავა მესამე 1; დიმიტრი ლევანის ძე ჭავჭავაძემ შვიდი მანეთის რუსული ვერცხლის ფული, სამი პატარა ნიკელის ოსმალური ფული, რუსული სპილენძის ფული 68 კაპ., ოქროს ბეჭედი (დამქვრ.) ნახევარ მისხალი და ვერცხლის ბეჭედი 1 მისხ. ყველა ზემოხსენებულ პირთ მიეცათ სათანადო კვიტანცია.

## ცნობები

კოლა ივანეს ძე ფარემუზაშვილი ირიცხებოდა აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმში. ჩოლოქთან ბრძოლის შემდეგ გაგზავნეს სოხუმში. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი გაგვიგია. თუ ვინმემ რამე იცოდეთ გთხოვთ შეატყობინოთ თფილისში, ადელხანოვის ქარხანაში. შაქრო ფარემუზაშვილს.

მესამე რაიონის წლიური

## ანგარიში

მაისი 1917—მაისი 1918.

შემოსავალი:

| | | | |
|---|---|---|---|
| შესასვლელი გადასახადი | 1606 მ. | „ | |
| საწევრო გადასახადი . | 6108 „ | 65 | |
| წარმოდგენიდან . . . | 1210 „ | 38 | |
| სხვადასხვა პირებიდან . | 515 „ | 20 | |
| საარჩევნო ფონდისთვის | 3254 „ | 17 | |
| ლექციებიდან . . . . | 257 „ | 50 | |
| პარტიული გაზეთების ხელ. სჳომწერთაგან . | 2470 „ | 70 | |
| შემოწირულობა . . . | 8 „ | 40 | |
| საწევრო წიგნებიდან . | 155 „ | 40 | |

სულ 15 592—70

გასავალი:

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილ. და საოლ. კომიტ. | 4298 მ. | 52 | კ. |
| სხვადასხვა პირებს . . | 1244 „ | 12 | „ |
| საკანტორო ღ სხვა ხარჯი | 637 „ | 83 | „ |
| ჯამაგირი . . . . . | 3135 „ | 08 | „ |
| ლიტერატურული წიგნები . . . . . . | 177 „ | 50 | „ |
| აფიშა და ლეტუჩკა . | 63 „ | | „ |
| ქირა . . . . . . | 235 „ | | „ |
| ცენტ. საარჩ. ფონდის. | 3268 „ | 17 | . |
| ტელეფონი . . . . | 120 „ | 15 | |
| ავეჯი მოძრავი . . . | 156 „ | 50 | |
| პარტ. გაზ. რედაქციებს | 1668 „ | 41 | |
| წიგნები საწევრო . . | 300 „ | | „ |

სულ 15,440—83

პირველ ივნისს 1918 წელს რჩება კასაში 151 მ. 87 კ.

მდივანი გოგორიშვილი.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კედიაშვილი.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კინოჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექ. ქალი რ. ზ. ზუბლო-საბაშვილისა**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დაჩხვრეტას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლ № 92 ტელ. № 9—26.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

სამკურნალო კაბინეტი

**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიძე**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმ რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ლადო მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, ბ. სვანიძისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო.**

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის ლინიკის ყოფილი ასისტენტის

**ექიმ დოხნიძისა.**

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

...რუსთაველის, გამოცემის შენობაში, № 1.